

K 33.268
3

მიხეილ აღავიძე

ნარაზისი

ცხოვრება გიორგი ინასარიძის
მასალები ლეჩევამის ეთნოგრაფისათვის

ცალკე ამონაგავლი

K 38/3
F 863 947

სპეც-2000
გეგმის განვითარების

გინერალ ალაგიძე

ცხოვრება გიორგი ინასარიძის *

ლეჩებუმში ფართოდ არის გაერცელებული ხალხური თქმულება გიორგი ინასარიძის შესახებ. გ. ინასარიძე იყო ლეჩების სამარეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მფლობელი, შესანიშნავი გმირი, რომელიც ლექ და თურქ მძარცველ-ამაռხებელთა ურდოებს ებრძოდა. ამ პირის ცხოვრებას საისტორიო წყაროები არ იცნობს.

გ. ინასარიძე დაკრძალულია სოფ. ლაბეჭინაში. ლაბეჭინა მდებარეობს რაჭა-ლეჩებუმის საზღვარზე, ქრებალოს ჩრდილო-დასავლეთით. სოფელი გაშენებულია მაღალ ქედზე და გადაჰყურებს რიონის ხეობას ხიდიკარსა (ზემო რაჭის შესავალი) და ხვამლს (ზუა ლეჩებუმი) შორის.

ლაბეჭინის ეკლესიის კუთხეში (გარეთ) ჩვენ ვიპოვეთ აკლდამა, სადაც დაუკრძალავთ გ. ინასარიძე და მისი შეულე ანა ჩხეტიძე.

აკლდამა ექვსი მთლიანი გათლილი ქვის კედლისაგან შედგება. მისი სიგრძეა ორი მეტრი, სიგანე კი — 120 სანტიმეტრი. შიგ მხოდ ცოლ-ქმრის ჩონჩხია მოთავსებული.

აკლდამას იცავდა ქვის შენობა, რომელიც ახლა დანგრეულია.

თქმულება გიორგი ინასარიძის შესახებ ჩვენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირისაგან მოგვისმენია.

გ. ინასარიძის თავგადასავალი მოგვითხრეს ეკა გორდეზიანმა, სერგი ალავიძემ, პანტელეიმონ ბოჭორიშვილმა (საირმე), ეფრემ ჩარქვიანმა (სურმუში), პოეტმა სევერიან ისიანმა (ზოგიში) და მელქისედექ ასათიანმა (დერჩი).

თქმულების შინაარსი ასეთია:

* ჭავითხული იყო მოხსენებად პედისტიტუტის მუზეუმის მიერთ 1949 წლის 26 თებერვალს.



გიორგი ინასარიძის სამფლობელოს რიონის ხეობის ლეჩხუმი შეაღენდა. წიფლარიდან¹ და წუგნა-მალიერიდან² ასკამდის³ და ორპირამდის⁴ რაც მიწა-წყალია, იმას ეკუთვნოდა.

გიორგი ინასარიძის იყო საირმე, ჰყვიში, ლაბეჭინა, ლვარ-დია, ზოგიში, იქარ-ალპანა და კლდედალმართის⁵ სოფლები — ტვიში, ქორენიში; ორხეი, დერჩი, მექენა, ვანი, ბენთქოულა, ონჭეიში, დღნორისა, საჩხეური, ჩორთისა, კაშლეთი და ლეხი-დრისთავი.

ახლა ინასარიძეები ლეჩხუმში არ ცხოვრობენ. გიორგი ინასარიძეს სასახლე საირმეში ჰქონდა. საირმელები დღესაც სოფლის თავში მდებარე სახნავ მიწას „ინასარიძის ნამოსახლს“ უწოდებენ.

ინასარიძე ყოფილა შესახედავად წარმოსალეგი და ლონით ძლიერი. ომში იგი ატარებდა მუზარადსა და ჯაჭვის პერანგს. მეტსაბელად „თვალიას“ ეძახდნენ.

გიორგი ინასარიძის დროს ლეჩხუმში შეკრილან ლეკებისა და თაორების ჯარები. ინასარიძეს თავისი მეომრებით გაუნადგურებია ისინი.

ლეკებმა ქვემო დერჩიში ცეცხლი გაუჩინეს თამარ მეფის დროის საუკეთესო ტაძარს. ინასარიძემ ეს შენობა დაწვეს გალაარჩინა.

ინასარიძის მიერ აშენებული ციხეები აქ ახლაც არის დანგრეული. ერთი ამ ტაძარს იცავდა, მეორე კი ზემო დერჩიში დგას.

ლეკებს ინასარიძე შებრძოლებია ზოგიშშიც, თანავიშვილების ძველი ციხე-ნამოსახლის ახლოს. აქ მას ბინულის წყალი მტარ-გალთა სისხლით შეულებიას. ამის შემდეგ დაერქვა ამ წყაროს „ლეკის წყალი“.

ერთხელ გიორგი თავისი ამალით ოკრიბაში ნიდიმობდა.

ამ დროს ლეჩხუმს — ინასარიძის სამთავროს — იმერეთიდან, ცხენისწყლის ხეობით, თაორები შემოესივნენ. სოფლები ააოხრეს, ცე-

¹ წიფლარი ლელე და ტყე იმერეთ-ლეჩხუმის სახლვართან.

² წუგნა-მალიერი — იმერეთ-ლეჩხუმის სახლვარი. წუგნა სახნავი შიწაა სოფ. ლეხიდრისთავში, მალიერი კი ნასოფლარია.

³ ასკი მდინარე, რაჭა-ლეჩხუმის სახლვარი.

⁴ ორპირი — მდ. ლაჯა-ნურის ხეობა (აჭარის ხიდიდან ჭილეშამდე).

⁵ კლდედალმართი — ქვემო ლეჩხუმი.

ცხლს მისცეს. გადმოიარეს გველითავი¹. ბოლოს საირმე, უკუნიშვილი
და ლაბეჭინაც დაარბიეს, გადაწვეს.

აწიოკებული მოსახლეობა მოებში გაიხიზნა.

ინასარიძემ შეიტყო მტრის თავდასხმა და სასახლისაკენ გაე-
მართა.

წყალატორაში² შეხვდა თავდახრილი მოხუცი დედაბერი. გიორ-
გიმ მას ამბავი გამომჰკითხა.

ქალმა, რომელსაც არ ენახა მთავარი, უპასუხა: თვალი დაუდგა
თვალია ინასარიძეს, ის ოქრიბაში ქეიფობს და მისი სოფლები კი
ურჯულო ხალხმა ააოხრაო.

ზოგიშის ხიღზე მარტო ერთი ხე დარჩენილიყო რიონზე გადე-
ბული. ინასარიძე მასზე გავიდა თავისი ჯორით. საჩქაროდ გასწიდ
საირმისაკენ.

ჯორი სწრაფად მიპქროდა. მის ფეხის ნაკეალევს, რომელიც
კლდოვან სოფორზე³, კაზიურსა⁴ და ლალუმელაშს⁵ შუა, არის
გაქვავებული, დღესაც „ჯორისწიხლისდანაკრავს“ უწოდებენ.

ვიორგი ინასარიძეს ყველაფერი გადამწევარი დაუხვდა. საბუ-
კიაზე⁶ ბუკით შემოკრიბა თავისი ხალხი, იისხეს იარაღი და და-
დევნენ მომხტურთ.

დაწივნენ მტერს ხელიშურთან⁷ და შეებრძოლნენ. თათრები
დაამარცხეს.

ნადავლი დაიბრუნეს და შინისაკენ გამოსწიის.

ინასარიძემ მეუღლეს გამარჯვების მახარობელი გაუგზავნა. ანა
გამოეგება. მთავარი ჯორიდან ჩამოხტო.

ჯავშანს ის ისე დაებეჭა ბრძოლაში, რომ მეტისმეტად დაქან-
ცულიყო, სხეულს ველარ მოერია და მიწაზე დაეცა.

ქმრის მოულოდნელი სიკვდილით ელდანაცემი. ქალიც გარდა-
იცვალა.

¹ გველითავი ულელტეხილი სურმუშ-გვნდუშის მთაში.

² წყალატორა ადგილი სოფ. ცაგერას მთაში.

³ სოფორი დაბალი სერი.

⁴ კაზიური ტყით დაფარული გორა, რომლის ძირში დიდი ლულა და მიღი-
მეა (საირმე).

⁵ დაღუშელაში სახნავი მიწა (საირმე).

⁶ საბუკია სოფ. საირმის ერთ-ერთი კორტოხი.

⁷ ხელიშური მდ. ლაჯანურის შენაკადი.



გიორგი ინასარიძემ თავის სიცოცხლეში ლაბეჭინის ეკლესიას სამხრეთ-დასავლეთით მიაშენა ქვის ოთახი. შიგ, დიდ აკლდამაში, დამარხეს ცოლ-ქმარი.

* * *

წინათ ლაბეჭინის ეკლესიას ჭერნია ეკვდრები სამხრეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით. ახლა მათი ქვალი აღარსაღ ჩანს. შესამჩნევია მხოლოდ მეოთხე ეკვდერი, რომელიც გიორგი ინასარიძის აკლდამას იცავდა. მისი სახურავი, თაღი და კედლები ჩამოქცეულია. ნანგრევებს დაუფარავს აღმაშენებლის საფლავი.

1910 წელს, როცა ექვ. თაყაიშვილმა შეისწავლა ლაბეჭინის მატერიალური და წერილობითი ძეგლები, ამ ეკვდერს კედლები ჭერნდა, ხოლო ჩამოწოლილი თაღის ნანგრევებისაგან გაწმენდილი არ იყო.

ე. თაყაიშვილს იქ გათხრა არ ჩაუტარებია, მას გიორგი ინასარიძის საფლავი არ უნახავს.

სამხრეთ-დასავლეთის ეკვდერს, — წერს ე. თაყაიშვილი, — შესავალი დასავლეთიდან იქვს და აქედან მეორე კარს მიჰყავხართ დასავლეთის ეკვდერში. ამ კარს, ზემოთ, ქვაზე სანახევროდ გადასული ასომთავრული წარწერა იქვს: „აღვაგეთ ეკუდრი ესე ჩუენ ინასარიძემან [გიორგიმ] და თანამეცხედრებან ჩემმან ჩხერიძის ქალმა ანამ მკანელად ცოდვილისა [სულისა] ჩუენისათუა...“¹

გიორგი ინასარიძის საფლავის ქვაზე ირგვლივ შემდეგი ასომთავრული წარწერა ამოვიკითხეთ: „ლმერთო, შეისწყალე ფრიად ცოდვილი ინასარიძე გიორგი. ესე არს განსასვენებელი ჩემი ჩუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო, რამეთუ მონავს ესე, ნეტარ არს გზა ესე, რომელსა წარმართებულ ვარ. შენ გავედრები, ლმერთო, დიდება შენდა“.

ეს წარწერა, მცირეოდენი განსხვავებით, პირველად ამოიკითხა ადგილობრივმა მცხოვრებმა ბოჭორიშვილმა და თბილისში მიაწოდა ე. თაყაიშვილს (დასახელებული ნაშრომი, გვ. 14).

1936 წელს აკლდამა ჩუენ გავწმინდეთ, გავზომეთ და ეპიტაფიაც გადმოვიდეთ².

¹ არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, 1937, გვ. 14.

² ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941, გვ. 240.

გ. ინასარიძის ეპიტაფიის იგივე ტექსტი ამოიკითხა და დამტკიცილი პროფ. გ. ჩიტა ია მაცუ¹.

ე. თაყაიშვილს აღწერილი აქვს ორი ხატი, რომლებიც ეკლესიისათვის შეუწირავთ გ. ინასარიძესა და მის მეუღლეს. შეკლევარი ამ ხატებს მე-17 საუკუნეს აკუთვნებს (დასახელებული ნაშრომი, გვ. 28-29).

როგორც ჩანს, ეპიტაფია ამ მთავრის გარდაცვალების თარიღს არ გვაცნობს. სამეცნიერო ლიტერატურაში კი გ. ინასარიძის ვინაობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ხალხი დღესაც გ. ინასარიძესა და მის ცოლს მეფე-დედოფლად იხსენიებს.

რამელ საუკუნეში იყო გ. ინასარიძე?

ვახუშტი ბაგრატიონი რაჭის წარჩინებულთა შორის ინასარიძის გვარსაც ასახელებს².

„საინასარიძო“ გვხედება მარტვილის ტაძრის წარწერაში.

მარტვილის ტაძრის კედელზე გამოხატულია კაცია ჩიქვანი და მისი ოჯახის წევრები.

ცნობილია, რომ კაცია ჩიქვანს (ლეჩეუმის პატრიონს) სამეგრელოს მთავარმა ლევან მესამემ უწყვილობა სალიპარტიანოს ბატონობა და მთელი სადადიანოს ვაზიობაც. ლევანის სიკვდილის შემდეგ, 1681 წელს, კაცია სამეგრელოს სრული გამგებელი გახდა.

ამას თვით წარწერაც მოწმობს: „...ჩვენ ... ლეჩეუმის და საინასარიძოს და სალიპარტიანოს პატრიონმან დიდის ხელმწიფუისა მეფისა და დადიანის ვაზიობმან, იმერეთისა-ოდიშისა თაუმან და სარდალმან ჩიქვანმან კაციამ და თანამეცხელრემან ჩვენმან დიდისა... და ძემან ჩვენმან გიორგიმ, იოსებ, ოტიამ დავახატვინეთ სამხრო ესე...“³

„საინასარიძოს“ არსებობას აღასტურებს მარი ბროსეც. იგი წერს: „მოიპოვა რა გავლენა ლეჩეუმში და დადიანის ნდობა, კაცია შეიქნა საინასარიძო და სალიპარტიანო მაზრების მფლობელი“⁴.

¹ ლეჩეუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944, გვ. 262.

² აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 26.

³ გ. თავკაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩეუმ-სვანეთში 1910 წლას, გვ. 76.

⁴ საქართველოს ისტორია, ნაწილი. მეორე, 1900, გვ. 205.



„საინასარიძოში“ ჩვენ ვგულისხმობთ გიორგი ინასარიძეს-უკუკულებს — რიონის ხეობის ლეჩხუმს. სხვა გამოჩენილ ინასარიძეს ხალხური გადმოცემა არ იცხობს.

იმერთა მეფე ბაგრატ ალექსანდრეს-ძე 1669 წელს ვრცელ მიმართვას უგზავნის რუსეთის ხელმწიფეს ალექსის. ბაგრატი, როგორც ამ წერილში ვკითხულობთ, თაყვანს სცემს მას, დიდ იმედად მიიჩნევს, იმერეთზე მფარველობას სთხოვს.

მიმართვა შეიცავს იმერეთის სამეფოს წარჩინებულთა და სახელმწიფო საქმეების ბჭობაში მონაწილე პირთა სიას. სიაში მოხსენებულია „ბაიარი“ (თავადი) ინასარიძე გიორგიც¹.

ამ წყაროდან ვრცმუნდებით, რომ გ. ინასარიძე ბაგრატ მეფის ქვეშვრდომი იყო და იმერეთის სამეფო დარბაზში ირიცხებოდა.

მნიშვნელოვანია შემდეგი ცნობაც: ალექსანდრე მეფემ 1651 წელს თავის სახელოვან პირთა თანადასწრებით რუსეთის ხელმწიფის სახელზე ფიცი დასდო. აღნიშნული ფიცის წერილის² სიაში, თავადთა და შენაყმათა შორის, ვეცნობით ქაიხოსრო ინასარიძესაც.

შესაძლებელია, რომ გიორგი ინასარიძე ქაიხოსროს მემკვიდრე ან უახლოესი ნათესავი იყოს.

ქაიხოსროს დროს, გიორგი ინასარიძის გაძლიერებამდის, „საინასარიძო“ უფრო მცირე ტერიტორიას იერთიანებდა, ბაგრატ ლეჩხუმის ფარგალს არ სცილდებოდა.

ამ აზრს ერთ-ერთი შეწირულების საბუთი ნათელყოფს: „ქვნს სამასორმოცდაქუსსა [1658] ჩვენ ინასარიძემან ხოსიამ და ჩემმა შეილმა მამუკამ და ქაიხოსრომ ესე წიგნი მოგართვით თქვენ ცაგერისა ღვთის მშობელს ამა პირსა ზედა, რომ ლეხიდარსა და ჯვარტამწვარს შუა რაც მოსაქრეფელობა მოვიდოდა, ყველასი მესამედი ჩვენი იყო და ორი წილი ცაგერლისა. აწ ჩვენი სულის საოხად ყველა ესე ხელმოხსნით შემოგვიწირავს...“³

ყურადღებას იპყრობს შემდეგი ძეგლიც:

ე. თაყაიშვილს განხილული აქვს ლაბეკინის ეკლესიაში დაცული სახარების ხელნაწერი⁴, რომელიც გიორგი მთაწმიდლის რედაქტი-ისად და გადაწერილია მწირის გიორგი დვალის მიერ.

¹ ს. კაკაბაძა ქე, მასალები იმერეთის სახელმწიფო მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წიგნი პირველი, 1925, გვ. 207.

² ს. კაკაბაძა ქე, მასალები, გვ. 206.

³ ს. კაკაბაძა ქე, საცაგერლოს გამოსავლის დაფთარი, 1914, გვ. 14.

⁴ ფურ. პრომეთე, 1918, № 1, გვ. 71-78.

ოთხთავს ბოლოში ახლავს გაბრიელ ლაბეჭინელის წერილი, ნუსხახუცურით შესრულებული. ე. თაყაიშვილის აზრით იგი მე-14 საუკუნემდევა შედგენილი.

წერილში მოთხოვილია, თუ როგორ ააშენა მოძღვარმა გაბრიელ ლაბეჭინელმა ეს ეკლესია მე-13 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ძლიერმა მიწისძგრამ ის სრულიად დააქცია.

ერთგან, გაბრიელის შემწეთა შორის, ნახსენებია ვინმე ზოგი შელი გლეხი „ნიკოლოზის ინასარიძისეული ბენბუქისძე“. ეს ნიკოლოზი ჩვენ გოორგი ინასარიძის წინაპრად მიგვაჩნია.

ამრიგად, „საინასარიძო“ რიონის ხეობაში იყო. გოორგი ინასარიძე მე-17 საუკუნის სამოცდაათიან წლებში ცხოვრობდა.

М. Н. АЛАВИДЗЕ

ЖИЗНЬ ГЕОРГИЯ ИНАСАРИДЗЕ

ЗЮМЕ

ІС

В Лечхуми весьма распространено народное сказание о Георгии Инасаридзе. Георгий Инасаридзе был владельцем юго-восточной части Лечхуми и считался народным героем. Он вел борьбу против захватчиков Лечхуми — лезгин и турок.

В углу, с внешней стороны церкви села Лабечины, нами найден склеп, в котором похоронены Георгий Инасаридзе и его супруга, урожденная Чхетидзе.

Склеп состоит из шести цельных тесанных каменных стен, длиной в два метра, а шириной в 120 сантиметров. Внутри склепа были обнаружены только скелеты супругов. Склеп был защищен выше разрушенной часовней.

На могильном резном камне Георгия Инасаридзе имеется надпись, прочтенаная нами. Эпитафия не сообщает даты смерти владельца.

В научной литературе относительно личности Георгия Инасаридзе нет никаких сведений.

В надписи Мартвильской церкви упомянуто „Сайнасаридзо“, что означает „владения Инасаридзе“. Существование „Сайнасаридзо“ подтверждает также Мари Броссе.



„Саинасаридзо“ нами толкуется как владения, т. е. села Георгия Инасаридзе. Народное сказание не указывает другого какого-либо выдающегося Инасаридзе.

Имеретинский царь Баграт в 1669 г. посыпает пространное обращение к русскому государю Алексею Михайловичу. Баграт в этом письме бьет челом ему, называет его своей надеждой и просит покровительства.

В обращении имеется список знатных людей имеретинского царства и лиц, участвовавших в обсуждении государственных дел. В списке значится подпись „боярина“ (князя) Инасаридзе Георгия.

Этот источник подтверждает, что Георгий Инасаридзе был подданным царя Баграта и числился в царском совете Имеретии.

Владения Инасаридзе („Саинасаридзо“) находились в долине реки Риони, и Георгий Инасаридзе жил в семидесятых годах XVII столетия.

ა. ფულუმიძის სახელობის ქუთაისის სახალხის აღმდებარებული
უკითხები, ტ. IX, 1949.

Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. IX, 1949.

მასალები ლეჩების ეთნოგრაფიისათვის

შ ე ხ ა გ ა ლ ი

რომნისა და ცხენისწყლის შუაწელის გასწვრივ მდებარე ტერი-
ტორია და მდ. ლაჯანურის მთელი ხეობა ლეჩების სახელით არის
ცნობილი.

ლეჩების საზღვრებია: აღმოსავლეთით მდ. ასკი (რაჭა), დასავ-
ლეთით ასხის მთა (სამეგრელო), სამხრეთით საზღვარი (იმერეთი)
და ჩრდილოეთით ყველებშის ლელე (სვანეთი).

წინათ ლეჩები, რომელსაც თაკერს¹ უწოდებდნენ, იმერეთის
სამეფოს ნაწილი იყო. შემდეგ ეს კუთხე და ქვემო სვანეთი რუსე-
თის ოვითმპურობელობის დამყარებამდის, თითქმის საუკუნენახევ-
რის განმავლობაში, და შემდეგაც (1681-1853) სამეგრელოს სამ-
თავროს ეკუთვნოდა. მურში დადიანის სასახლე იდგა.

¹ ლეჩები (და ზოგჯერ რაჭა-ლეჩებიც) ძველ ძეგლებში „თაკუერად“ იხსე-
ნიება: „მიმოიცემია შენდა და გქონდეს საუზუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, და თაკუ-
ერი, არაგუეთი და გურია“ (ანასეული ქართლის ცხოვრება, ს. ყაზბეგიშვილის
რედაქციით, 1942, გვ. 153); „დალოცეს კირიკეს ძე კახაბერი ერისთავი რაჭისა
და თაკუერი და თაკუერისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედათანი, მარიამ დედოფლი-
სეული ნუსა, 1906, გვ. 400); „...თაკუერი, რომელსაც აჭ. ჭევან ლეჩები...“
(ქართლის ცხოვრების გაგრძელება, მ. ჯავაშვილი, 1907, გვ. 46).

გამუშავებული ემყარება ლეონტი მროველის თხშულებაში (ცხოვრება ქართულთა
მყენეთა...) არსებულ ცნობას და ამბობს: „პირველად თაკერს უწოდებდნენო რაჭას
ბაგრატიონთამდე“. თაკერად ის ცხენისწყლის ხეობას მიიჩნევს (აღწერა სამეფოსა
საქართველოსა, 1941, გვ. 148).

„...იქნებ წინათ, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — „თაკუერი“ საზოგადო სახელი
იყო რაჭა-ლეჩებისა, მოლო შემდეგ სახელი „რაჭა“ შემოიღეს და თაკერი კი
ლეჩების შერჩა“ (ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1948, გვ. 48).

დღეს ეს სიტყვა ცოცხალ მეტყველებაში არ დასტურდება.

საგვალისხმოა, რომ სოდე. ქვედა ლუხვანდიში ერთ-ერთი უბნის („კიბაბეჭდი“)
მახლობლად არის საძოვარი და სახნავი მიწა. ამ ადგილის სახელწოდებაა თაკ-
უერი იანი (დოც. ი. ხალილაძის ცნობა).



იქ უსსოფარი დროიდან ცხოვრობდა ხალხი. მას ჰქონდა ქართული დედაენა, ყოფა-ცხოვრება და ადათი.

ლეჩებუმის ბევრი სოფელი მაღლობზეა, მთის კალთებში არის მოქცეული. მთებს შორის უმაღლესია ხვამლი. უმეტესი სივრცე ვენას, სახნავ-სათესს, ტყესა და კლდეს უჭირავს. დიდი საძოვრები და ველ-მინდვრები არ მოიპოვება. ყველაზე მეტ ფართობს ცხენის-შეულის დაბლობი შეიცავს. ის ცაგერსა და სარეწკელას შორის იმყოფება. ლაჯანურს დობიროები — მაღლარები — აკრავს. რიონის ხეობაშია ფორაშეკალა, ლაბარები და ვანისქალა; ნაერაშის, საირშის, ალპანა-ზოგიშის, ორხეისა და დერჩის ვენახები.

ნიადაგი ნოკიერია, ჰავა — ხომიერი. საუკეთესო ხარისხის პური, სიმინდი, ლობიო, ლვინო და ხილი მოღის. მდინარეებით ხე-ტყის ჰასალა მოაქვთ.

ერთი საუკუნის წინ უგზოობის გამო მურის კლდეში, სარეწკელაში, ლვირიშის ლელესა და ორბირში გასვლა არ შეიძლებოდა.

შორსმსვლელ მგზავრს მთა-კორტოხებზე უნდა ევლო, საღაც ულელი ხარი და საპალნიანი ცხენი ვერ გადადიოდა.

გლეხი ბილიქს შიპუებოდა. ზურგზე ეკიდა, რასაც ზიდავდა. შძიმე ტვირთით გადაივლიდა იგი გველითიავს (რაჭისაკენ), კონჩის მთასა და ნიკორიძის (იმერეთისაკენ), ფიჩიჯვარსა და ლახტორის კონკროსს (სამეგრელოსაკენ).

ლეჩებუმლები უფრო ხშირად ქუთაისსა და ხონს მიღიოდნენ. რეინასა და ბარილს იქ ყიდულობდნენ.

ყოველწლიურად დაწესებული იყო ორი ბაზრობა. ერთი, სექტემბრის თვეში, ორკვირიანი — ცაგერის ბაზრობა, რომელსაც დიდი ეკენობა ერქვა, და მეორე ორბელში — ახალქალას, შვიდდღიანი. იგი მაისში იცოდნენ და იარმუკობას (ქართველი) ეძინდნენ.

პარასკევ-კვირაობით ვაჭრობა წარმოებდა იგრეოვე ცაგერში, ლიალაშისა და ჭრებალოში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ლეჩებუმიც სიციალისტურად გარდაიქმნა. ამ კუთხეშიც საკოლმეურნეო ცხოვრებამ ვაიმარჯვა, შშრომელ ხალხს ბენიერება მოუპოვა.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად სოფულებში გიყვანეს და გააფართოვეს გზები. ბევრ კოლმეურნეობაში მიწას ტრაქტორითა და გუთნით ხნავენ. მოსავლის აღებისას ავტოებს, სალეშ და სანიავებელ მანქანებს ამუშავებენ.

მარნებში ღვინოს ახალი წესით ამზადებენ. კოლხერაციებში ჭარბი მარნების წველო საქონელს იძენენ. ღამით შარაგზები და ოდები ელექტრონის შუქით არის გაჩირალდნებული.

ყოველ სასოფლო საბჭოში სრული საშუალო სკოლა არსებობს. თითოეულ კოლმეურნეობას კლუბი, სამკითხველო და საექიმო ჰუნკრი აქვს. რაიონის მხარეთმცოდნეობის მუნიციპალიტეტის მრავალ ძვირფას ექსპონატს აგრძელებს, იცავს და სწავლობს.

* * *

ეთნოგრაფიული წერილები ლექსიუმელთა ყოფა-ცხოვრების სხვადა ხეა მხარესა და გარდასულ ზნე-ჩვეულებებს ასახავს. ლექსიუმის ეთნოგრაფია ჯერადაც სპეციალურად არავის შეუსწავლია. ამ კრებულს სამეცნიერო ლიტერატურაში შეაქვს ახალი მასალა.

ხშარად საგანს ან მის ნაწილს მთელ ლექსიუმში ერთსა და იმავე სახელს არ უშოდებენ. ზოგ სოფელში ერთი სიტყვა არის გავრცელებული, ზოგან — მეორე. აღწერაში ყველა სინონიმი შევიტანეთ.

ნარკვევი მდიდარ სალექსიურო მასალას შეიცავს. ძირითადი ნაწილი უცნობია და ლექსიუმურ კილოს ეკუთვნის. ბევრი სიტყვა ზანური ან სვანური წარმოშობისაა. ზოგიც ძველ ქართულში იყო, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიურნებში იდენტური ან განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება, თანამედროვე სალიტერატურო ენაში აღარ ცოცხლობს და ლექსურს შემოუნახავს.

შრომაში მოიპოვება იმერული და რაჭული ლექსიერის ნიმუშებიც. ისინი ლექსიუმში, ოქრიბისა და ქვემო რაჭის მოსაზღვრე სოფლებში, იხმარება.

აგრეთვე აღვინიშნავთ, რომ საისტორიო და ლექსიუგრაფიულ წყაროებში ლექსიუმურის სახელით ცნობილი რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა შევამოწმეთ და დავაზუსტეთ.

კ ა რ - მ ი დ ა მ თ

კოლმეურნის ეზოს შემოვლებული აქვს ჯარჯული, მესრის ღონიერი ქვეით ნაშენი. შესავალში ფიცრის ან წნელის ჭიშკარი დგას.

ჯარჯული შესვილი თხილის ან შეერისავან ილობება, რეაგირებას ითვლის, სარებად მუხის გული აქვს.

ამგვარ ღონებს ჯარჯულით — გაზის ნასხლავის კონებით — ჰურავენ. იგი ოცდაათ წელიწადს ძლებს.



უბრალო ღობეს თავზე ერთი გირგალი — გრეხილი — გადა-
ჰყვება. საბიჯელა ღობეზე გადასასელელი ადგილია.

ლეჩებუმური ოდის ქვეშ არის პალატი, სადაც ზამთრობით
ცხოვრობენ. პალატს შესავალში აქვს ჭანია — ფარდული.

ოდას მზიანი მხრისაკენ ორ გვერდზე აიგანი აქვს. აიგნიან ჭდ-
ლებში რამდენიმე კარი და ფანჯარაა. ჩრდილოეთის შუა კედელში
ბუხარი არის აშენებული. ბუხარს ფიტონა — თარო — აქვს. ჭი-
ტონაზე სანათლისს — სანათურს — დგამენ.

ბირკვილი არის ფიგურებიანი რიკული (მოაჯირი), თაღ-
ლამა — მოკლე და დახვრეტილი თხელი ფიცრების თაღები აივ-
ნის სვეტთა შორის. აბარწა პატარა აიგანია.

ქირიში ანუ დოშავი კოჭია. ქირიშებზე ფიცრის იატაკია
დაგებული. ქირიშები კერსაც აქვს. კოჭებს ლამფა — მიჭედილი
თხელი ფიცრები — პფარავს ქვევიდან. სახურავის თაღიანი კოჭი
არის მანდალიონი.

კერზე ორი ვაცა დგას. ვაცებს თავზე ეყრდნობა. თავზე კა-
კვებია, კაკვებზე — ლოფინები. ლოფინებზე შენდება სახურავი,
რომელსაც ბასკები იმიგრებს. ბასკი მუხის ჯოხია (გათლილი)
და ყავაოზეა დაჭედილი.

დარბაზის კერის შუაგულში გაკეთებულია ხონჩა. მას ოთხ-
კუთხედი ფორმა აქვს, ღრმა და ჩუქურომოვანი. ხონჩაზე ყურ-
ძნისა და ხილის ჯაგნებს ჰყიდებენ. ფოფრი არის ჯიქურას ცოცხი,
ოთახის დასახვეტი.

ეზოში შორი-შორ აგებულია ბელელი, მარანი ან ჭურისთავი,
ბოსელი, საბძელი, ნალია, თორნე, სალორე და საქათმე. შრა-
მელი ყოველგვარი შენობაა, გარდა საცხოვრებელი სახლისა,

ბელელი უფანჯრო ფიცრულია, ყოველმხრივ დაბშული ისე, რომ
თაგვი ვერ შევიდეს. წინ შესავალი პატარა კარი აქვს. შიგ დატი-
ხრულია თვლებად, სადაც მარცვლეულს ცალ-ცალქე ათავსებენ.

ჭურ-მარანი არის ჭურისთავი ფიცრულითურთ. მასში ამზა-
დებენ და ინახავენ ღვინოს.

მარნის შემაღენლობაში შედის: ხორგო, ხრიკა, მელული ნისაბა-
ოსირო, ძელბარი, ზის ური და ღარები, თოხი, სარცხი, წევრი და
არყის გამოსახდელი ხელსაწყოები. ბევრს მარტო ჭურისთავი
აქვს. ჭურისთავს მაღლა ტალავერი პფარავს.

საჩიხე ანუ ქართა ეზოს შემოლობილი კუთხეა და პირუტევ-
თაოვის არის განკუთვნილი.

საჩიხეში დგას ბოსელი (ქვის ან ხისა), საღაც ხარი, შრომა, ცხენი, ცხვარი და თხა ბინაღრობს ზამთრობით.

ჭარბული ბოსლის სქელი და დაბალი ფიცრის კედელია. ფიცარს გარეთა მხარეს გული მთელ სიგრძეზე სამკუთხედისებულად აქვს გამოთლილი. ლენგურია ბოსლის კარიანი სარქმელია.

იქვეა საღორე, რთმელსაც თავზე საქათმე ადგას.

საბძელი უმეტესად მრგვალი შენობაა. მას წნელით ლობავენ, ფიცრით ან მრგვალი ხით დგამენ.

ჯარგვალი (ძელური) ექვს გვერდსა და ქილის ითვლის. იატაკი და ჭერი არა აქვს. საკვები რომ არ გაფუჭდეს, ძირს ნერჩია (ანჭლი, ძელი კოროლი) მოფენილი.

ჭინათ ყველა ბურულს (სადგომი, შენობა) და განსაკუთრებით საბძელს კოროლით ხურავდნენ. კოროლი ზანდურის ან მახის ჩალა იყო. მას კვინჭილებად — პატარ-პატარა კონებად — შეკრავდნენ, საბძლის კონუსისებურ სახურავს შეკირცხლავად — კვინჭილას თავით და წნელით გააწყობდნენ. საკირცხლში კვინჭილას თავით დაპკიდებდნენ. კოროლი ათ წლამდის სძლებდა.

საბძელს კართან კალო და ცალმაგი ჰქონდა. ცალმაგი ფარდული იყო. კალმაგენ კედელი არ ედგა. მასში აწყობდნენ გასალეჭ ჰურს. თუ გაავდრდებოდა, კალმაგი ჩადგმულ პურსაც იქ შეიტანდნენ. სხვა ღროს ცალმაგში მშრალად ინახავდნენ ურემს, გარხილსა და ხე-ტყეს.

ნალია სასიმინდეა. ის დგას ოთხ ან ექვს სვეტზე ან ბაჯგზე — გაუთლელ ბოძხე.

ნალიას წნელით მოწნავენ ან დახვრეტილი თხელი ფიცრებით ააშენებენ, წინ პატარა კარს გაუკეთებენ, იატაკად სარის სიმსხო ხეებს გააწყობენ. შუაში ჩადგამენ ხვირს — ვიწრო და მაღალ გოლორს, რომ ჰაერმა იმოძრაოს და სიმინდი გაახმოს.

ბოლოს დასკრიან: ქვეშ ძარს შეუდგამენ, ხეირს მაღლა ასწევენ, სიმინდს ნაწილ-ნაწილ გამოილებენ და ჩელტზე, რომელიც კალოზე ან სოხანიან შენობაში დგას, გაფშვნიან.

სასიმინდის ქვეშ ხშირად კარაპანი არის მოწყობილი. კარაპანი მშრალი და სუფთა ფიცრულია, საღაც ინახავენ კვახს, ჭაჭას, ლობიოს ჩენისა და ჩირს. ზოგჯერ ფიცრის იატაკს აიღებენ და ცხენის სადგომადაც იყენებენ.

თორნე ცალკეა ან სახაბაზო შენობაში დგას. თორნე გამომჭვარი თიხია და ღია კასრს ჰგავს. მასში პურსა და მჭადს აცხომენ.



თორნეს ირგვლივ შემოღობაეც, კედლისა და ლობის შუა ადგილს თეთრი მიწით ამოაესებენ.

სახაბაზოს ერთი კარი, ერთი სარქმელი და მაღალი სახურავი აქვთ. მასში შუალედობიც ინთება და საღილ-გახშინს ამზადებენ.

მაღლაა ცხვენი — მრგვალი ხეებით გაკეთებული ჰერი, სადაც
ღურდს ახმობენ. ღურდი გადარჩეული სიმინდია, რომელსაც
ორნებსა და ქათმებს აკმევენ.

სახაბაშოში არის საფქვილე, სასაფურა, გობი, ბუჯერი, საცერი, ფიტონა, ბათმანი, კეცი, კარდალა, თენჭერა და სხვა საგნები.

სასაფურაო ცომის ასაფუფებელი ნის კურტელით; ბუჯერი — მაგიდა, რომელზედაც გობში ცომვა წარმოებს; ფიტონია ირის კედელზე მიჰედილი ფიცარი, სადაც ჭურკლეულს აწყობენ; კარდალალა ხელიანი პატარა ქვაბია სპილენძისა; თენჯერა უმცირესი ქვაბია. მასში ლობიოს ხარშავენ, რძესაც აღუდებენ.

თორნე ხშირად ცალკეა. მის სახურავს ოთხი მაღალი სვეტი უდგას. ეზოსთანაა ვენახი და ნაფუზგარი — ნაფუძარი, სახნავი მიწა.

3 2 3 9 3 6 2 9 3 0

ძველებური დიდი სახლი ოთახებად არ იყო დაყოფილი. კერი და ფიცრის იატაკი არ ჰქონდა. სოხანეს თეთრი მიწით მოაგდნენ. შუაში, კერიაზე, ცეცხლს დაანთებდნენ. ყვერბი ერქვა კერის ჩაღრმავებულ ქვას, რომელსაც ლადარი ჰქონავდა.

შუაცეცხლის პირდაპირ, მაღლა, დირეთა შორის თხლად აწყობდნენ თოხ-ხუთ ფიცარს — ცხვენს. მასზე კაკიბერა ეკიდა-კაკიბერა ანუ კაჩა როხეუთხედად შეკრული გათლილი ხეების ნაგებობაა. მასზე ჩხოლში — კვამლში — ახმობდნენ დამარილებული ლორის ხორცს. იქვე ამარგებდნენ საქვაბესაც.

ცხვენზე, კაქბიერას გვერდით, კადო იყო მოთავსებული. იგი რამდენიმე ფიტრისაგან შეღებოდა. კადოზე გარეცხილ ონ დასველებულ ტანსაცმელს გააფენდნენ გასაშრობად.

ერთ-ერთი კედლის ნაპირი, კიდით-კიდემდე, ნიგვზის ხის სა-
წოლს ეჭირა. საწოლს სვეტები და ყაფარი — მაღალი — სახუ-
რავი ჰქონდა.

ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე ან წყვილ-წყვილად ეძინათ. მათ ერთმანეთისაგან სკიპრები ჰყოფდათ. სკიპრი — ზანდუკისებური ნივთი, ტანსაცმლის შესანახი — ზანდუკისა და შეაფის შემოღებამდე

იყო გავრცელებული. ხის ნაწილებისაგან შედგებოდა. წილი — დელი და სახურავის ნაპირი მოჩუქურომებული ჰქონდა.

ჭურკლის შესანახად კუთხეში გამოკვეთილი იყო ბუჯერი — თარო. იქვე იდგა დორა — ორხელიანი კოკა — წყლისათვის, ჯერ — კოლა — მორისაგან გამოთლილი უფეხო სკამი — და სხვა ნივთები.

კუთხეში ორ მავთულზე ჩამოკიდებული იყო ჩოჩო — კარალისებური ხის ჭურკელი, რომელსაც ძირი ტექჩირ ჰქონდა გამოწნული. კარს გააღებდნენ და შიგ საჭმელს შეინახავდნენ. ჩოჩოს თავები, კატა და ძაღლი ვერ შესწევდებოდა.

სახლს აფრები ედგა. აფრა შეა კედელში აღმართული ფიცარია. ორი კედლის ნაწილი (სარტყელს ზევით) სამკუთხედი — სებური ფორმისაა. მას ლირსი ერქვა, აფრა საძირკველს, სარტყელსა და ლირსებს შეაზე ჰყოფდა. სალირსი ლირსის ფიცარია. ლირსებიან აფრის ორივე ნაპირი შიპიანი — ამოწარული — აფრის შიში ფიცარების თავებია ჩასმული. ლირსების თავზე, ორ აფრის შიშის, სახლის სათავე იყო გადებული.

კარს შეა კედელში უკეთებდნენ. სახლს ჩეიულებრივ ორი კარი ესავირობოდა. თითოეულ კარს ორი აფრა აქვს. აფრის ცალი ნაპირი ამოღარულია. კარის აფრა საძირკველსა და სარტყელს აერთებდა. ორჯარიან კათხა სახლს ორი ლირსებიანი აფრა და კარის ოთხი აფრა სპირდებოდა.

სახურავზე მწერივებად აფარებდნენ ლოფორჩანებს — გრძელსა და თხელ ყავრებს. ლოფორჩანებზე დააწყობდნენ ქვებს. რითაც ყავრებს სახურავი არ ირღვეოდა.

ქილიქის კუთხეს კვაჭახური ეწოდებოდა, საწვეთლის რუს ნაკვალევს — ნარვალი, ნარვალსა და საძირკველს შორის მშრალ ადგილს — ლაფარი.

ლირსებიან კედელს მიაშენებდნენ მაქუდურს — ყავრის ან კოროლის სახურავს. იგი კედელს წვიმისა და თოვლისაგან იცავდა. ფარდულში მშრალად ინახავდნენ ურემს. მარტილსა და ხე-ტყის მასალას.

სანამ კათხა სახლს შემოიღებდნენ, ფაქუტი ში ცხოვრობდნენ. ფაქუტას ისლით ან კოროლის კვინჭილებით შეკირცხლავდნენ. სახურავში ჩხოლი რომ გასულიყო, ადგილს დატოვებდნენ. იმ საკვამურის ხანი ეწოდებოდა.

შემდეგ ზანებში კათხა სახლს ორი სართულა უკადა. ქვედა სართულის ქვის კედელს ბუხარს უკეთებდნენ. სამი კედელი ხის იყო.



შუაში იდგა ლონდირი — დედაბოძი. მის ზევით, საწერუნე — თავხეზე, ფიცრის იატაქს მოაფებდნენ.

კათხა სახლის ლირსებიან კედელს კარსა და ჩალდალს — ჩარდახს — მიაშენებდნენ.

ახლა კათხა სახლი აღარ მოიჰოვება, ისინი ოდებალ გადააკვირეს.

ნ გ ნ ა - თ ე ს ვ ა

მოპყავთ სიმინდი, პური, ლობიო, ლომი, ურუში, ოსპი, ცერცი, მუხუდო, კარტოფილი და კეხი.

სახნავი მიწის გაწმენდის დროს ცალკე კუთხეში ქვებს ღია და გრძელ ხვავია აგროვებენ. ამგვარ აღგილხე წამოჭრდილ ბუჩქნარს აჭე ეწოდება. უკი ყამირია, გაუტეხელი მიწა.

მთაში მიწას სახვნელით ამუშავებენ. სახვნელის ნაწილებია კაფი — მოლუნული ხე, ერქვანი, რომელიც მხვნელს უჭირავს, ქუსლი, სახნისი, ჩოგანი.

ქავის თავში გაყრილია რიკი — მოქლე ჯოხი. მასზე წემბეშოთი ან ღვლეჭით მიბმულია გრძელი ულელი.

სახნავს პატარ-პატარა ნაკვეთებად დაანაწილებენ, ყოველ ერთ საფენზე კვალებს გაავლებენ. თითოეულ ნაჭერს ნიხა ეწოდება.

ყანას ნიხობით ხნავენ. სიმინდსა და პურულს ერთ ნიხაზე შოთესავენ და მიწაში ჩახნავენ. ამგვარივე წესით დაამუშავებენ სხვა ნიხებსაც.

ყველგან მოპყავთ სიმინდი, ლობიო და პური. სოფლის ფართობის ნახევარი სიმინდსა და ლობიოს უჭირავს, ნახევარი — პურს.

ნაპურალხე სიმინდს თესავენ, წინა წელს რომ სიმინდი იქ, იქ კი — პურს.

სიმინდს ორჯერ თოხნიან. პირველ გათოხნას პირალი ანუ ხელალი ჰქვია, მოროცს — მორედი.

სიმინდს მოქრიან, მერე ტაროებს აატეხენ. ჩალას შეკონავენ.

გასახმობად ჩერეგენებს დადგამენ: სამოთხ კონას დროებით ერთიდ ააყუდებენ და თავს ქუჩუჩოებით — თავთავებით — შეუკრავენ.

გუა ზეინის გულია (ხე), ნალერალი — სიმინდის ძირი, რაც ჩალის მოქრიას შემდეგ რჩება ყანაში.

ტაროების ხვავს გაარჩევენ და ნალიაში მოათავსებენ. შანთა გრძელ ტაროს ჰქვია, კვინჭილი — წვრილს. დაბაზებუ-

ლ ი ა თ , — სიმწიფეში შესულ სიმინდის ტაროზე ან პარკოვან მარცვლეულზე (ლობით, ცერკვი, მუხუდო) ამბობენ.

ზეღლელა არის ერთად შეზრდილი ოთხი-ხუთი ტარო (კუნძი ერთი აქვს). მას სიმინდი იშვიათად იკეთებს და უხვი მოსავლის ნიშნად ბელლის კუთხეში ჰყიდვებენ.

სიმინდს, როცა გახმება, მანქანით ან ზოგჯერ ჩევოებზე — ჩელტებზე — ტუკებით — ხის უროებით — დაფშვნიან და ბელელში შეინახავენ. ნაჯურჩალას — გაფშვნილ ტაროს — შეშის მაგივრი იყენებენ.

ნახნავში, სიმინდის ამოსვლამდე, მწერივად ლობიოს თესავს ორი კაცი. ერთი თოხნის, მეორე პეშვ თესლს ხნულში ყრის. ლობიოს თესვას რგვას უწოდებენ, ხოლო ნარგვ ბუჩქს კი — მუდ რს ანუ ბუდნას.

ხარობს სხვადასხვა ჯიში: წითელი — ამყოლი (ბარდიანი), თეთრი (უბარდო; ჩასართავი); უუ უუ ნა მრგვალმარცვლოვანი, ჭრელი: მტრედისფერი და ყავისფერი ან მტრედისფერი და თეთრი (ბარდიანი, უბარდო; ჩასართავი); ფარდევლი გრძელმარცვლოვანი და ზოლებიანი — თეთრი და შავი ან თეთრი და წითელი (ბარდიანი); შუ რა აულა წერილმარცვლოვანი, წითელი (უბარდო); ფრუნი მრგვალმარცვლოვანი, ნარევი ფერისა (თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი) — წერტილოვანი (ბარდიანი, უბარდო); მა მა კალია წვრილი და შავნაყოფიანი, დაბალი ხარისხისა (ბარდიანი); კვარკვალა მრგვალმარცვლოვანი, ჭრელი (ბარდიანი).

ჯლა ეწოდება ტოტებიან ხარდანს, ჩომელზედაც ლობიო და პამიდორი ადის.

გამხმარ ლობიოს ძირებიანად აიღებენ და კალოზე დაფშვნიან. მოელ ჩენჩის ნა ბერძალი ანუ ძენძვი ჰქვია, მარტო პარკებისას კი რეგეჭი.

ლომს კეკოთი — პატარა თოხით — მარგლავენ. თავე ლებს — თავთავებს — ცხვენზე, სამზარეულო სახლში, შუაცეცხლის კვამლში ახმობენ. ჩხო გაცეხეაში მიიღება, თავთავების ჩენჩია და წიწილებს დაყრინიან გამოსაკვენად.

კენეშო სათესლე ლომის კონაა. მას მშრალ ადგილზე ჩამოჰყიდებენ და თესვის წინ ხელით გამოფშვნიან.

ურუში ანუ შავი ჭალი ფეტვია. მის ნამცხვარს ჭალის ჭალი ერქვა.

ოსპის პარკებს ფშვნიდნენ. ნაყოფი მუხუდოს ჰეგავდა და ცის-

ցըրո ոչո. Սամարեցո սապելագ օտքլեթուղ. լոնծոնսեցնարած աթ-
խացեթունեն: Հայնուցնեն ան հասարացած աշխնացեթունեն.

Ցորեցուլուգան մռէպացւատ նանցուրո, մաս, տաշտուի, ոյցլո,
եղլուց, դոյց և յերո.

Նանցուրս տղտրո մարլուց և գրելո ցեցի կյոնճա. մո-
սայրեցագ եմարոնթունեն Շանկաց ծս — նաեցարո մերիո և օգինու
մյոնց ցագածմուլ որ ցատլուլ չոնք. Մերժոց ցասմոնթունեն և
սաւաց շալ երկաց ց ծուտ ցեցացնեն. մաս տղտրո ոչո,
ոյցեռ. մասայ նանցուրուց յարունեն և ցեցացնեն. ჩալաս (յո-
հոլուս) սածուրացած ոյցնեթունեն.

Եցնա Շեմուգցոմանց թարմոցնես և պշրս մանոնց տցեսացն. եղլուն
կուրուս ցա մուտց եցաս ացցունունթուն աթարմոցնեն. մովաս տուենուն,
մարլուց և միջուցեթուլո և օմոնուն յանան տցեսացն.

Պշրուս յանոս մոմյուլ նախուն և ցրելո կյուո. նա մուշո նամջաս,
որո եղլուց ունի; նամուշնես ցցարալու տյունացն.

Մոմյուլս և ասպամերուց ցեն: տեսություն յոնաս ցալու գանձու-
նեն և յիշ ուրեմն Շեացնեն.

Անալ նամյուն ծացնեց պշրս երշաց ցեն — գարհինուլ տաշտա-
ցնես լուր-լուրու այրուցն.

յոնաս, եղլուս ցուլնո հոմ հայրուց, Շեյրացն և գացրուեն. մաս երժո յիշուգըն.

Եցնեց նոն հելքից եղլու ցամոցնենուն և նաեց պշրս մո-
ուլունեն.

ցալութուն պշրս ծնես յայսած ց երուուն ասությունն. պշրս
կալուս Շեացնեց արնագուտա — եղլունու ցուրիուտ — և ար-
ջապառ պատու — նոնցուս լուսենուտ — մռաեցացնեն:

մարլուց ցանուցնեն, մերժո ցայցնեն — ցասմոնթունեն, ուսո ցա-
լունուցնեն և ծեղլուն նոնանացն.

Պշրու ես յիշուգըն Շեսացնեց մումաննուն քյորութ. հոցո-
րուցա: Եցնա-տցեսցա, մյա, յալունուս, սոմոնդուս և լոնծուս ալցիս,
հուցելո...

Թցուրտսանուց և Շեսացնեցին

Էօս Ծցուրտս նօւացն ցացրենունու ուրմուտ. նամուրտսո Շեմա
մռայցտ մարեսունուտ և տացյացուտ.

Ուրմուս և մարեսունուտունուս սակուրտս յիշու ուրելո եմո. մար-
եսուն այց որո ոյցեն — ցրելո ես. ոյցեցնո ցայրունուս ոչինո-

ლები — ხელნები. ითოვეულ ფეხზე დგას კოჭები — ორი ზოძე. ორივე ფეხის კოჭებს აერთობს ტაფა || კვატუშზი — ფიცარი. ჩაწხილს ორი ტაფა აქვს. ტაფებზე აწყობენ შეზას. კოჭებზე დაცმულია ლაჯა || სამცობა — დახვეული ლვლები. კოჭებს ორი ლაჯა აქვს, ფჩხილების თითებს კი — ერთი.

ისმარება ფახიც ანუ გაბანდული მარხილი. ის სკირდებათ მომკილი პურის, თივის, სიმინდის ჩალისა და ლობიოს მოსატანად.

ეს მარხილი დაბალია და ფართო. ტაფებზე დაკრული აქვს რამდენიმე ჭოკი. მისი ზედაპირი ალაგ-ალაგ წნელითაა დაწნული.

თავებზე პატარა მარხილია და მხოლოდ ზამთარში ისმარება. ის კავებიან ფეხებზე დგას, წინა კოჭები არა აქვს. შეშით სავსე თავები ერთ კაცს შეუძლია მოზიდოს. მარხილს ფეხებზე. თოვლში რომ არ დაცურდეს, ლაჩართანებს || გვერგვებს — დაზულ ღვლებებს — მოაქრავენ.

თითქმის ყველგან პატარა ურემს იყენებენ, რათა მთაგორიან ადგილებში ნელა იმოძრაოს (გზიდან არ გადაგორდეს) და ზარები არ შეაწუბოს. ურმის ყველა ნაშილი ხეა.

ურემს ხის გოგრები აქვს. თითოვეულს თვალი ჰქვია. ურმის თვლებს ცაცხვის, ლეკას ან თელის ხისაგან თლიან.

თვლის გამოზნექილ გულს (მორგვს), რომელშიც ღერძის თვეია მოთავსებული, კოჭეს, ორბას ანუ პეშვას უწოდებენ.

ურემს აქვს ფალანგები — ორი ზედსადგარი, რომელთა შორისაც მოთავსებულია ფინები — ფიცარები. ფალანგების თავსა და ბოლოს გაყრილია ორი ლეფსა (ხმალაც ჰქვია), რომ ფინები შეკრის, არ დაიშალოს. სარმანა ზედსადგრის სარია.

ზედსადგარს, შუალედილს უკან, მიქედილი აქვს ხის ნაშერი — დათვა (Pecop), რომელზედაც ღერძი ბრუნავს. ზედსადგარზე დათვას ამაგრებს კოტები ანუ ჭანჭარიკები — მანკოები. ქვეშ კოტები იქერს ღერძს. ღერძი კოტების ძირში ტრიალებს.

ჩორჩიალი არის ჩოთები, რითაც რქაში გაქნილ საპონს ურმის ღერძზე დროგამოშევებით წაუსობენ.

ურემს სხვადასხვა ადგილზე გაყრილი აქვს კინთა — დასაშაგრებელი ჩხირი. კინთას უკეთებენ ღერძს ორივე თავში, ლეფსას — ცალ თავზე და კოტეს — შუაში.

ზედსადგრების თავებში გაყრილია ფჩხილები. ფჩხილების თავებს ჩამოცმული აქვს ტაფა (კვატუში) და ამაგრებს ლაჯა.



ფჩხილებს აერთებს თავსაპირავი — ლვლეჭი. ფჩხილები და-შნული ტყავით (წემბეშო || ჯირიში), ლვლეჭით ან რეზინის ჯამბარით უერთდება უდელს.

უდელს აქვს ტაბიკები და აპეურები. ხარებს რქებში თავსა-ბელს ჩააბამენ და დააულლებენ.

მომკილ პურს, თივას, სიმინდის ჩალასა და ლობიოს ურმითა და გაბანლული მარხილით მოზიდავენ.

ორივე თავში დამაგრებენ ორჯაპ ხეს (იღება || თხიპა), ურ-მის ორივე დათვის წინ, ზედსადგრების გვერდებზე, გამოაბამენ ლვლეჭებს. აიღებენ გრძელ თოქს (საჭირობელი || ტოულო ბაჭირი), ერთ თავს მოუჭერენ მოკლე ორჯაპ ჯოხზე (ჭყვე) და ძნას ყოველმხრივ შეკრავენ.

როცა მაღალი მთიდან აღებული პური და სიმინდი მოაქვთ, ნალოს ანუ სათრიელს აკეთებენ. ურემს უკან ტოტებიან ხეებს გამოაბამენ. ურემი ხეებს მოათრევს, ერთვარად დამუხრუჭებულია, თავდალმართში არ გაიქცევა და ხარებს დიდად ჰშველის.

მსხვილ და გრძელ ხეს ლოშკინით მოიტანენ: ფჩხილები ტაფი-თურთ დაშორებულია ურემს. ხის თავს ამაგრებენ ტაფა-ფჩხილაზე (ფჩხილა ტაფითურთ), ხეს მაღლა ასწევენ, ქვეშ, შუა ადგილზე, შეუდგამენ და ამოაკრავენ ურემს. ხე მიწას არ შეეხება და ადვილი ჭამისალებია. ამგვარად გადააქვთ შორ მანძილზე საწახელიც.

იხმარება თუშიც — მძიმე ტვირთსაზიდი (სათრევი). ის გაკე-თყბულია მუხის ან ძელქვის ხისაგან. ორი ფეხი აქვს. თუშით გა-დაიშიდება მერქრატა, საცეხველი, დაკირული ქვევრი.

საწნახელსაც ზოგჯერ თუშე დააკრავენ, თავში ფჩხილებს ამო-შურიან და ორევით წაიღებენ.

თუშისათვის ყევარია საჭირო. ყევარი ანუ პარუკი რამდე-ნიმე უდელ ხარს (ორზე მეტს) შეადგენს. ყევარში იმდენ უდელ ხარს შეაბამენ, რამდენსაც შარიგზა (მიხვეულ-მოხვეულები) საშუ-ალებას მისცემთ და რამდენიც ტვირთის სიმძიმეს დასძლევს.

ურემზე დგამენ ჯანაბერს, ძარსა და კაკაბა ძარს. ჯანაბერი ჩელტია, რომლითაც ნაკელს გაიტანენ ყანაში. არის ოთხსახელუ-რიანი პატარა ჩელტიც (ჯინი || ჩათრი || კიჭაპია || ჯოჯო-შინა). მით ორ კაცს ბოსლიდან გარეთ, ეზოს კუთხეში, ნაკელი გაიქვეს. ძარში სიმინდის ტაროებს, კვაბებს და ხილს ათავსებენ. ქაჭაბა ძარი || ძლინკი || კარია დიდია და თხლად არის მოწ-ნული. შასში ბზეს ჰყოიან.

ხელით საზიდ ბზის გოდორს ძარგოდორა ჰქვია, თეჭკის დასაჭრეს კი — ხეირი.

ხეირს მდინარის ნაპირზე ქვებით დაამაგრებენ. მასში თეჭირ ჩადის და უკან ვეღარ ბრუნდება.

ლასტი ერთსახელურიანი პატარა და ფართო ჩელტია. მას კაკიბერაზე ჰქილებდნენ. ლასტში ზანდურისა და ლომის თავთავებს ათავსებდნენ, შუაცეცხლზე ახმობდნენ.

ძარსა და ჩელტს შინდის, თხილის, ორწყლისა და პიპკეტის წნელით წნავენ. ლასტს მარნეულითაც აკეთებენ.

ვენახში, კალოზე, მთასა და ყანაში საზიდავად იყენებენ კალათს, სალასტოს, ლაწებასა და გიდელს. ყველა ამათ თხილის ხისაგან ამზადებენ.

მსხვილ წნელს ცეცხლზე გაახურებენ, თხელ-თხელ ფენებად დახლეჩენ და გაატყავებენ. თითოეულ ანახლებს ტკეჩი ეწოდება.

ს ა ლ ა ს ტოში ათავსებენ ყურძენს, ლობიოს, სიმინდს, კვახსა და ხახეს. ლაწება მთაში სამოგზაურო სალასტოა. ზურგზე ჰქიდიათ. თითოეულში ორი ფუთი მარცვლეული ჩადის. გიდელს ფართო თავი და ვიწრო ბოლო (მუჯურო) აქვს. მაღლარში სჭირდებათ. ხეზე ან ხალახინზე აიტანენ და ყურძენს კრეფენ. ვიდელს ტოტზე ჭყვით ჩამოჭკიდებენ.

გ ვ ი მ ი ს წ ი ს ჭ ვ ი ლ ი

ძველისძველად ჰქონდათ და დღესაც ზოგიერთ სოფელში მუშაობს გვიმის წისქვილი.

დიდი წისქვილი, სადაც სამი-ოთხი ბორბალი ბრუნავს, მდინარის (რიონი, ცხენისწყალი, ლაჯანური) ნაპირზე დგას.

გვიმის წისქვილი პატარაა, ერთი ბორბალი აქვს, ბინულის წყალი ჰყოფნის და დღე-ღამეში ორ ფუთამდე ფქვილის.

ის ეკუთვნის ორ-სამ ოჯახს, აშენებულია სათიბში ან ღელეში. სადაც მაგარი და სანდო ადგილია, წისქვილი წისქვილის ახლოს არის დადგმული.

დაბა ლაილაშში ბევრი ბინულის წყალი მოიპოვება. ყველაზე დიდია ოქონიში. ეს წყარო ბაზრის ბოლოსაა და ოთხი მილით გადმოდის.

ერთი მილი გაყვანილია ქვედა ლაილაშში და სოფელს ჰყოფნის სასმელად. დანარჩენი სამი მილიდან გამომდინარე წყალი წისქვილებს ამუშავებს.



ოქტონიშის კორტოხიდან ქვედა ლაილაშის ძირამდის, ორტარა გრიფი კილომეტრის სიმაღლეზე, ჩამწყრივებულია ოცნე მეტი წილი.

შედინარის წისქვილს ლია ლარები აქვს. ლარების თავში, გვერდზე, დადგმულია ბელლარა — დიდი ლარი. წყალს ამ ლარზე გადააგდებენ და წისქვილის მუშაობას შეაჩერებენ.

პატარა წისქვილს გვიმი უდგას. გვიმი მსხვილი ფულურო ხეა ან ქვით ნაშენი კოდი, სადაც ჩადის და გროვდება წყალი. ის მაღალი წნევით ფშტვირიდან (მილია, გვიმის ძირს უერთდება) მიაგრიდ ხედება ბორბლის ფრთხებს და ქვის აბრუნებს. გვიმში წყალი რომ საჭირო დონეზე დააყენონ, ფშტვირს პირში ტკეჩის უკეთებენ.

ლარს, რომელიც რუდან გვიმს წყალს აწოდებს, კლდედაღმართის სოფლებში ლაროში პირზე ჰქონია.

როცა სურთ, ლარში საგდოლას — ხელიან ფიცარს — ჩადებენ და წყალს მოსწყვერენ — წისქვილს არ ამუშავებენ.

ბორბალი ფეხზე დგას. ფეხის ასაწევ-დასაწევი არის ლამაჭანია. მით შეიძლება ზედა ქვის დაყენება: აწევისას ლერლავს ან მსხვილად ფქვავს, დაწევისას — წმინდად ფქვავს.

ბორბლის ლერძს თავზე წამოცმული იქვს ცულა — მოკლე რეინა, რომელზედაც ქვა ბრუნავს. ქვის გვერდზე შემოვლებულია გარსაგები — ხის ზღუდე. უმისოდ ფქვილი დაიბნევა და ერთად არ მოგროვდება.

ხეიმირა მარცვლეულის ჩასაყრელია. იგი თხელი ფიცრებისაგან არის გაკეთებული, კონუსისებური ფორმა იქვს და ქვის თავზე ჰქიდია.

ხეიმირას ქვეშ მიბმულია ლაკორა — პატარა ლარი. მას სარტყელა რიაკრიკა ამოძრავებს. მარცვლები ნელ-ნელა ცვივა ჰქის ლია გულში.

ფქვილი გროვდება ჩიბეში, იღებენ პატარა ნიჩით (ჩოლა) და ხეეტინ ქათმის ფრთის კონით (საფოთარა).

ფქვილს დაქვეულს ეძახიან, ლერლილს — დახეხვილს.

ხრილი გარსაგებზე მოდებული ფქვილია.

როცა პირი გაუსწორდებათ, ზედა და ქვედა ქვის მოკლავენ. საღოლავი მოსაკრიდ ჩაქუჩის ჰქივია.

ქვედა ქვის გულში ტირიფის მრგვალი ნაჭერია ჩაჭედილი. ხეჭაბურღულია. მასში ბორბლის თავი ტრიალებს.

ხის მილი ცვლება, ფართოვდება. ამ ღროს წისქვილს მოხე-

შავენ ანუ მოჭვალავენ — ხის გულში სამ-ოთხ სოლს ჩატარდება, მიღს დავიწროებენ. მიღი ბორბლის თავს მოუჭერს და მარცვალი არ ჩაიძნევა.

წისქვილის შენობა თითქმის ყველგან ფიცრულს წარმოადგენს.

გ ა ჸ ი ს ჯ ი შ ე ბ ი

დაბლარი ვენახი ხარდნებზე გაშენებული, მაღლარი კი ხალა-ხინებზე — ტოტებიან ხარდნებზე, ტალავრებსა და ცოცხალ ხეებზე ხარობს.

გავრცელებულია შავი ყურძნის შემდეგი ჯიშები: ოლექსან-დრეული ბარცვალი მრგვალია, მტევანი გრძელი, ღვინო — საუკეთესო; მრგვალი კაბიშტონი მარცვალი მსხვილია, მტევანი სავსე, ღვინო — საუკეთესო; მუჯურეთული ანუ წურწური მარცვალი და მტევანი გრძელია, სავსე, ღვინო — საუკეთესო; ნაკუთნოური მარცვალი მრგვალია, მტევანი მოგრძო, ღვინო — სუსტი; ოჯალები მარცვალი მრგვალია, მტევანი გრძელი და სავსე, მაღლარზე ხარობს, ღვინო — საუკეთესო; მგალობლების მარცვალი მრგვალია, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; კახური საფერავი მარცვალი მრგვალია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — საუკეთესო; ოცხანური საფერავი მარცვალი წვრილია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — კარგი; უსახელაური მარცვალი მრგვალია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — საუკეთესო.

თეთრი ყურძნის ჯიშები: ოდესა იზაბელა (არის შავიც), ოლიგოდი ფრანგული ალიკოტე, მარცვალი მრგვალია, მტევანი სავსე, ღვინო — კარგი; ბუდე შური მარცვალი მსხვილია, მტევანი დიდი და სავსე, ღვინო — კარგი; თითა მარცვალი და მტევანი გრძელია, საჭმელად მოპყავთ; კრახუნა მარცვალი მოგრძო, მტევანი სავსე, ღვინო — კარგი; მწვანეკუნძა მარცვალი მსხვილია, მტევანი სავსე, დიდი გამოხავლისაა, ღვინო — კარგი; ოჩხამური მარცვალი მსხვილია, მტევანი სავსე, მოპყავთ საჭმელად; რქიწითელი მარცვალი და მტევანი გრძელია, ღვინო — საუკეთესო; ფაჩხატა მარცვალი წვრილია, მტევანი ღია, ღვინო — სუსტი; ციცქა მარცვალი წვრილია, მტევანი მოგრძო და სავსე, ღვინო — საუკეთესო; ცოლიკოური მარცვალი მრგვალია, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; ცხვედიანის თეთრა მარცვალი მრგვალია, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; წულუკიძის თეთრა



მარცვალი მოგრძო, მტევანი ღია, ღვინო — კარგი; ხიხეჭი — შესაბუა
ცვალი მრგვალია, მტევანი სავსე, ღვინო — საუკეთესო.

წინათ ხარობდა, მაგრამ ფილოქსერამ გაანადგურა და მყნობით
აღარ განუახლებიათ შავი ყურძნის ჯიშები:

ა ნ ა დ ა ს ტური მრგვალმარცვლოვანი იყო, გრძელი და ღია
მტევანი ჰქონდა, მაღლარზე ხარობდა და კარგ ღვინოს იძლეოდა
(კლდედალმართი); არაბოული მრგვალმარცვლოვანი, გრძელი
და სავსე მტევანი ჰქონდა და საუკეთესო ღვინოს იძლეოდა (ზო-
გიში, საირმე); ბელარიანი მრგვალმარცვლოვანი, სავსე მტევანი
ჰქონდა და ხეებზე ხარობდა (სურმუში); გაბაშა მრგვალმარ-
ცვლოვანი, მეავე ღვინოდ დგებოდა (სურმუში); ღუდლვაბო
დაბალი ხარისხის ღვინოს იძლეოდა (ლაცორია); ოხტოური ხე-
ებზე ხარობდა, საუკეთესო ღვინო ჰქონდა (კლდედალმართი); რუდუ
საშუალო ხარისხის ღვინო იცოდა (ლასხანა); ფორთუგა მრგვალ-
მარცვლოვანი, სავსე მტევანი ჰქონდა, სუსტ ღვინოს იძლეოდა
(ზარაგულა); ლარასულა წვრილმარცვლოვანი, პატარა და სავსე
მტევანი ჰქონდა, კარგ ღვინოს იძლეოდა (კლდედალმართი); ღორ-
თვალა მრგვალმარცვლოვანი, მსუბუქი ღვინო იცოდა (საირმე);
ყორნის თვალა გრძელმარცვლოვანი, სავსე მტევანი ჰქონდა,
მაღლარზე ხარობდა და საჭმელად მოჰყავდათ (კლდედალმართი);
შავჩოხია კარგ ღვინოდ დგებოდა (ლასურიაში); ჭუბულო
მოგრძომტევნიანი, კარგი ღვინო იცოდა (დეხვირი, სპათავორი);
ჯოლილო მრგვალმარცვლოვანი, დაბალი ხარისხის ღვინო ჰქონდა
(დეხვირი);

თეთრი ყურძნის ჯიშები: თბილული კარგი ღვინო იცოდა
(ლასხანა); კინალა კარგი ღვინო ჰქონდა (ჩიალბეჩი); მაური ი
გრძელმტევნიანი, ხეებზე ხარობდა, მაგარ ღვინოს იძლეოდა (კლდე-
დალმართი); მაისა მაისში ყვავდა, რთვილი არ წვავდა, მსუბუქი
ღვინო იცოდა (კლდედალმართი); ორხული მრგვალმარცვლოვანი,
გრძელი და ღია მტევანი ჰქონდა, საჭმელად მოჰყავდათ (ორხვი);
კიტილოური მრგვალმარცვლოვანი და მტევნიანი, საუკეთესო
ღვინოს იძლეოდა (ჩხუტელი).

აქა-იქ გვხვდება გამი შავი, მრგვალმარცვლოვანი, კარგი
ღვინო აქვს (კუვიში); მტევანგრძელი შავი, მრგვალმარცვლო-
ვანი, კარგი ღვინო აქვს (უსახელო); უწამლო ანუ ფრანგული
შავი, მრგვალმარცვლოვანი, სუსტი ღვინო აქვს (საირმე); ღორ-
თანა შავი, მრგვალმარცვლოვანი, კარგი ღვინო აქვს (ლასურიაში);

დ ვ ე ლ შ ა ვ ი შავი, ორგვარია: მსხვილმარცვლოვანი — დიდი მცირე
ვანი და სუსტი ღვინო აქვს და წვრილმარცვლოვანი — საუკეთესო
ღვინოს იძლევა (საირმე); კამური თეთრი, მოგრძო და ღია მტე-
ვანი აქვს, გვიან მწიფდება და დიდხანს ინახება (ქლდედალმართი);
აფხაზურა შავი, გრძელმარცვლოვანი, მაღლარზეა, საუკეთესო
ღვინო იცის (ტვიში, ორხევი).

ტყის ვაზის სახელებია: ძლვამბლი, მცხერო, ომცხვარო¹.

ბიმბილი ყურძნის მარცვალია, წიმწა — თესლი (კურქა),
ბორძლვი მარცვლებგაცლილი მტევანია, კავანა ბრჭყალია
(ბწყალია), რითაც ვაზი ხარდანს და ხეს ეხვევა. იგი აქვს აგრეთვე
კვაბს, ციცაბარდასა და ლობიოს. ნაწიკარი გადაწვენილი ვაზი
ან ხეა.

დ ვ ი ნ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ა

დაკრეფილ ყურძენს ხორგოში — საწნახელში — აგროვებენ და
წურავენ.

ჩარჭილა პატარა ხორგოა, ურმით დააქვთ — ყურძნის საზი-
დავად იხმარება.

ხორგო გამოფულუროებული გათლილი დიდი ცაცხვის ხეა.
უდიდესი საწნახლის სიგრძე ოთხ მეტრს აღემატება, განი და სი-
ღრმე თითო მეტრი აქვს, შიგ ას ფუთხე მეტი ღვინო ჩადის. თავსა
და ბოლოში თხელი ფიცრის კედლები აქვს ჩადგმული. წინა კე-
დელს, რომლის ძირში ღარით დვინო გამოდის, საშუბურს უწო-
დებენ.

საშუბურის თავი ხმალაში არის მოთავსებული. ხმალა ხორ-
გოს გვერდებშია გაყრილი.

საწნახლის გარეთა ნაწილი — ღარიანი პირი, საიდანაც ტკბილი
გადმოჩეულს, არის ინდური.

ყურძნის დაწნებამდის ხორგოდან ნაწრეტს გამოუშვებენ და
ჭურში შუმად აადუღებენ.

ერთი ან ორი კაცი ყურძენს ფეხებით წურაეს, მაჟარი ღარით
ჭურებში ჩადის.

¹ აქ დასახულებულ ვაზის ჯიშთაგან ივ. ჯავახიშვილის გამოცლევაში (საქარ-
თველთს კუნძომისური ისტორია, წიგნი მეორე, 1935, გვ. 505-512) შეტანილი არ
არის: ალიგონდი, ადესა, მგალობლიშვილი, ცეცედიანის თეთრა, შაქრინია, ბელა-
რიანი, ოხტოური, რუდუ, ფორთუგა, კუბულო, ჯოდილო, კინალა, გამი, ჭამლო
(ფრანგულა).

დაწნებების შემდეგ ტქბილს ამოიღებენ და ჭაპიან ხორგო უკავებენ მართვას. ლვინო რვა დღის განმავლობაში დუღს, ჭაპის თავზე მოიჩომევს. დუღილი შეწყდება. ჭაპა ძირს დაიწევს.

ლვინოს საბოლოოდ ჩაუშვებენ ჰურებში. ჭაპის, სანამ მთლად არ გამოიწურება, მეღული ნიჩბით — დახვრეტილი ოთხთითა ნიჩბით — საწნახლის თავიდან გასწევენ, ბოლომდის მიიტანენ, ერთად დააგროვებენ.

ჭაპის სხვადასხვაგვარად იყენებენ: წბერში ანუ საქაჩ-ველში (Прес) გაატარებენ. მის ლვინოს ცილკე შეინახავენ.

ძეველებური წბერი ასეთი იყო: მარნის ერთი მხარე, კიდით კიდედე, წბერს ეჭირა. მარცხნივ (კუთხეში) მიწაში ორი ფეხით ჩაასობდნენ კაცას — მსხვილი მუხის ან ნიგვზის ბოძალ ხეს. მისი თავი მარნის ჭერამდე აღწევდა.

კაცის შუაში გაუყრიდნენ და თავით მიამაგრებდნენ დირეს, რომელიც მოძრაობდა. მეორე თავზე დირეს (მარჯვნივ) ჭული ეხურა.

ჭუდსა და დირეში ზევით და ქვევით აღი-ჩამოლიოდა დახრახნილი ხის მსხვილი ისარი. მას უერთდებოდა კვირის თავი — შრევალი და მძიმე ქვა. ისარში გაუყრიდნენ ხეს. მით ორი კაცი კვირისთვეს აბრუნებდა.

კაცის ახლოს იყო მერეტაფა — ფართო ქვა ან ხე, დანდლებზე — ხის კუნძებზე — იდგა და ჭულზე წრედ ოთხკუთხედი ლირი ჰქონდა.

მერეტაფაზე კაპიტებით — თხელი ფიცრებით — კოდს დააშენებდნენ.

კოდს — ჭაპის პერანგს — მაღლით კეტავდა ულელი. მას კაცაზე ჰქონდებდნენ.

კოდში ჭაპის ჩაყრიდნენ, თავზე კაკალას — სქელ ფიცარს — დააფარებდნენ. კაკილისა და დირეს შორის კველოებს — ფიცრის ნაჭრებს — ერთმანეთზე დაადგამდნენ.

ორი კაცი ისრიან ქვას წალმა დააბრუნებდა, კვირისთვე მაღლა აიწევდა, დირე ძირს დაეშვებოდა და ჭაპა დაიწურებოდა. ყოველ ავსებაზე კოდიდან სამ-სამი ფუთი ლვინო გამოლიოდა.

ჭაპაში წყალსაც შეურევინ და დააყენებენ — შვილვინოს დააშებდებენ.

ჭაპიდან არაყს ხდიან. როცს, რომელშიც წყალი დგას და შილს აცივებს, ორი კა ეწოდება. ზარფუში არის საარყე ქვაბის თავი (სპილენძისა).



ჰირველად წინწანა ქარი გამოდის, ბოლოს საიაში მისახადის იღებენ. ჭავის არა არ აბრუნებენ.

კაცი დიდ ჭურში ჩავი და რეცხავს თავცეცხლათი ანუ კრაზანათი, თავისარათი ან ლომის ჩალით.

თავცეცხლა ჭვრილი და მაგარი ყვითელნაყოფიანი ბალახია, თავისარა ეკლიანი მწვანე ბალახია. მით ბუხარსაც ჭმენდენ.

ყვიბარს მაღლადან რეცხავენ. გლეხი ქვევრის თავზე ზის დახელში სარცხი უკირავს.

სარცხი ჯოხზე წამოცმული ოფიკოს — ბლის ქერქის — კონაა, ქეთერჩხო — ჭურის თავის გასარეცხი.

ქვევრის ფსკერში დარჩენილ წყალს ოსიროთი — ჯოხზე დამაგრებული ჩვრით — ამოაშრობენ. ღვინოს და წყალს ხრიკით იღებენ. ხრიკა გამხმარი მწარე კვახისაგან კეთდება. პრკეს ტიშლს უწოდებენ, შეძმარებულ ღვინოს კი — მოკანჭულს. ქვევრის თავს ძელბარით — ხის ბარით — მოხდიან. ორგო მრგვალი ფიცარია, ჭურის სარქელი.

ტელგი მაგარი და არასასიამოვნო დასალევი ღვინოა. საჭოვია (გოქშო) ეკლიანი მცენარის თავთავია. მას ღოძზე დააცობენ და მაჭარს გაწურავენ.

ორჭიპო ანუ ხარატული ხის ფოლაქია, რომელსაც გახეულ კუპრის უკეთებენ.

თხის ტყვიისაგან აკეთებდნენ ქელეშს — მოუკუპრავ დიდ გუდას. დაუდუღებელ ღვინოს, კუპრის რომ არ გაეცუჭებინა, ქელეშში ჩაასხამდნენ და მით საღმე წაიღებდნენ.

ს ა ზ თ მ - ს ა წ ყ ა თ ხ ი

მარცვლეულს სხვადასხვა ერთეულით წყავდნენ. გოროში ორი ფუთი ჩადიოდა, ლეშკი ანუ ქილა ერთ ფუთს იწონიდა, ფოხალი, ნაოთხალი და ბათმანი ერთი და იგივეა (ნახევარი ფუთი), კოდი სამი ბათმანია, ყურიანა ნახევარი ბათმანია, კორუა ნახევარი ყურიანაა. ჭურჭელი (ბათმანი, ყურიანა, კორუა) ხის იყო.

ტაროებით სავსე რვა სალასტო ერთი ძარია. ამგვარ ძარში გაფშვნილი ოთხი გორი სიმინდი გამოდის.

ერთი ურემი თხუთმეტ კონა პურის შეიცავს. გალეწილი ურემი ერთი გორით.



შვიდი კაცის ტვირთი შეშა (შვიდი კონა) ერთი მატყეულზეა თორმეტი მარხილი საექნია, საექნს სიმაღლე და სიგანე ცალ-ცალქე საში არშინი აქვს.

დორაში 72 გირვანქა ღვინო ჩადიოდა. მენახევრე დორის ნახევარია (36 გირვანქა), ორი დორა გორია, სამი გორი საპალნეა. საწყაო ჭურჭელი (მენახევრიანი დორა—ორზელიანი კოკა) თიხისაგან კეთდებოდა.

ჩარექი ერთ ლიტრს შეადგენდა, მანერკა—ორს, კვარტი—სამ გირვანქას, თუნგი—ოთხ კვარტს; ჩარექი ყველი—კილოგრამს, ოყა—სამ გირვანქას.

წიფეას ხის ფეხიან სასმისს უწოდებდნენ, ნახევარ ლიტრს ატევდა.

მატყლს, ბამბასა და თუთუსს კვერცხებით წონიდნენ. რვა კვერცხი ერთი გირვანქა იყო. შვიდი კვერცხის წონას ქსანი ერქვა.

ორი თითის დადება ვერშოკია, ციდა—ოთხი ვერშოკი, მტკაველი—ხუთი ვერშოკი, ალაბი—არშინი, წყრთა (იდაყვიდან შუანათითის ფრჩხილამდე) — ნახევარი მეტრი. მოხვეტილი წყრთა 60 სანტიმეტრს უდრიდა. ზომები იდაყვიდან დაიწყებდნენ, თითებს გამართავდნენ და ხელის გულს ქსოვილით დაჰფარავდნენ.

ა დ ა მ ი ა ნ თ ა ხ ა ხ ე ლ ე ბ ი

წინათ გავრცელებული იყო დედაკაცის სახელები: მანიუა, გულჩინა, დარუხანა, სევდია, ალათი, სურათა, მზეხა, სულიკო, ელნოსია, ქატია, ლოქსანა, ტუფა, სეფორე, რესიმე მახუა, ყაზმისი, მატა, ქანა, აპია, პისტი, იუსტი, ოსანა, ხაზუ, ადია, თათია, ხეახვა, აგნია, თარუა, სერნო, დორია, დონია, კონია, საბედა, სიდონია, ტერეზია, ბუელუნტია, კუეშა, ვარდიკონა, ხეაშა, გურქანა (გულქანი), ზენო (ზეინაბი), კესარია (კესო).

მამაკაცის სახელებია: ვარადებული, ერაჯი, ალდგომელა, ქუჩუკი, ლომერი, ქაქუჩელა, გენადი, ინდიკო, მგზავსიერი, ბიჭილი (ბიჭინა), ნასყიდა, შოშიტა, სარიდანი, ყათნარი, მუხიერი, წყალობა, უფლისა, ნაძენიკი, ბააკა, სადალო, პაჭულია, კიკოლია, პაჩოლია, ჩიჩოლია, ოსია, სეფე, აბიბო, ლებეოზი, კირიია, კაცოლია (კაცინა), თვალია, ბერი, საყარელა, სისონია, საჩინო, მიზანა, დულუნგი, გადოლია, გოლურია, ბაბურია (გიორგი), ქიტესა (ქრისტეფორე), ყარაგანა (ყარამანი), ზაზუ (ზაზა), ხეთისო (ლეთისავარი), ძურაბე (ზურაბი).

ცხოველები და ფრინველები

პირუტყვის მუცლის უკანა ნაწილს უწუმარი ჰქვია, ჯიქნს—
ტუა, ნაზამთრ თმას — ნალისი, თამაშს — აპუტარა.

გვილა მსხვილი და მოკლერქებიანი ხარია. ჭოტი სწორ
რქას აღნიშნავს.

ხირაგა არის სამფეხა დგამი, რომელსაც ხარის დაჭედვის
დროს ხმარობენ. ლოფირა გეჯა — ლორების საჭმლის ჩასა-
ყრელი როფი.

უცადი ანუ უშადი უშობელია, თარგილი — უშვილო თხა
(ერთ წლამდის), დულო — დოლა, ურქო თხა, თოხლი — უწლო
ცხვარი, ნამცხედვარი — შემოდგომაზე მოგებული გოჭი.

გელცემული ავადმყოფობაა: საქონელს უეცრად გამოუვლის
და მოკლავს; ჭიჭყინა ცალ ბეჭის გაუსივებს, პირუტყვი ფეხზე
ვერ დადგება; ხენის დროს, წვიმიან ამინდში, ლურსმანა ჩნდება:
ხარს კისერი გაუსივდება და დაუმუშტუკდება; ფანცალი ძალის
ჰირია. ძალი ბანცალობს, სიარული არ შეუძლია.

ცხენს ბზეს, სიმინდსა და თივას ქილახორში ჩაუყრიან. ჭილა-
ხორი გრძელია, ყუთივით აა შექრული და ხის ფეხებზე დგას.

ცხენს მინდორში ბაგირით დააბამენ. თოკი ლორის ჯაგრი-
საგან არის მოწნული, გამძლეა, წვიმა ვერ აღწობს.

შგზავრობის დროს, როცა მოასვენებენ, თოფრით საკვებს აძ-
ლევნ.

თოფრა ჩანთაა. მასში ბზენარევ სიმინდს ან ქერს ჩაყრიან,
ცხენს თავზე ჩამოჰკიდებენ.

კტომი არის ღიღი და ძლიერი მოხუცი დათვი. გაკტომე-
ბული დაუძლეველს (დათვს) ჰქვია.

კვერნას რკვენას უწოდებენ, კურდლელს — ყურდგელს.

ხარი ანუ ჯიჯაფეხა ხარიაბუზაა, დედალობო — თრი-
თინა.

პირუტყვის ფერებია: თეთრი, შავი, წითელი, ქისონი თაგ-
ვისფერი მოწითალო ელფერით; ვეუანი ორგვარია: ყავისფერი
ღია შავი ზოლებითურთ და ნაცრისფერი მოყვითალო ზოლები-
თურთ; ფარდელი ზოლებიანი (თეთრი და შავი); გიშერა
უნიშნო შავი, წავისფერი; ჯორა წაბლისფერი (ზურგზე გაჰყვება
შავი); ნისლა ნაცრისფერი; ყვავილი ჭრელი (წითელი და თე-
თრი); ნიშა წითელია ან შავი. ხოლო პირისახე თეთრი ძევს;



კიოფა წითელია ან შავი და შუბლი თეთრი აქვს; ფარნა-ხარი კრელია: თეძოები და თავი შავია და ზურგზე გადავლებული აქვს თეთრი; საღარი თეთრშუბლიიანი შავი ან წითელი ცხენის ფერია; კრელ გოჭზე ამბობენ: თხიროლია.

საკიდელი ჩაის დასაკვეთია. სველი სითხე, რომელიც ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩება კურპელში. ჩოჩო არის ხის ქერქის კურპელი, ძირი ტკეჩით აქვს გამოწნული. მასში აბლად-ამოყვანილ ყველს დროებით ათავსებენ. ყველი იწურება, სველი კალათში გადის.

ნამწათხო ხალაში შენახული ყველის წვენია (მარილიანი). ნოგა ხის კურპელი იყო და წველის დროს ხმარობდნენ.

სხენი წყლიანი ჩაი, ძროხას უწნდება მუძუში ერთი კვირით ადრე ხბოს მოგებამდე, უქრება მშობიარობის შემდეგ ხუთ დღეში.

დაკლულ პირუტყვს ასო-ასოდ დაანაწილებენ. ხარისა და ძროხის ხორცი ათ ასოს შეადგენს: ბეჭები (ორი ასო), ბარკლები (ორი ასო), თეძო (ერთი ასო), სათბილო (ერთი ასო), გვერდები (ერთი ასო), მკერდი და კისერი (ერთი ასო), გულ-ღვიძლი (ერთი ასო) და თავ-ფეხი (ერთი ასო).

ზურგის ნაწილი, კისერსა და სათბილოს შორის, არის სხაპი.

გასუქებულ ღორს ზამთარში დაკლავენ. დასაშაშხი ხორცი სამი ნაწილისაგან შედგება: ორი ფერი კუპებით ურთ და ზურგის ძვალი.

თავსა და გულ-ღვიძლს არ ინახვენ.

ფელიქს რცმელს || ნაფერდალს — ფენთხს — და კელა-ვერს (ნაწილია ბეჭთან) ახდიან (მთლად არ დააშორებენ). ხორცი დაამარილებენ და კურთმანეთზე დაწყობენ. რვა დღეს გააჩერებენ.

წვერწათლილ პატარა ჯოხებს რცმელებსა და კელავერებს შეუყენებენ.

ფელიქსს სამზარეულო სახლში, შუაცეცხლის პირდაპირ, კაჭვებზე ღვლებით ჩამოკიდებენ, ჩხოლშე გაახმობენ.

ნაწლავებისაგან კეპილებს — კუპატებს — აკეთებენ. ფელიქსის გვერდით მოათავსებენ.

ნარჩიელა ნაწლავების გარეთა ქონია, ნახარჩო — შაშხის ნახარში წვენი.

დაკლული ცხვრის ნახევარი არის ფეშხო.

ფოცოცი სავარცხლისებური ხორცია და ქათამს თავზე აქვს

(ბიბილო), კონტო მოჩეტია, ნამჩხოვედი აგვისტოს შემდეგ გამოჩეკილი წიწილებია. კოშია ინდოურია, კვაჭილია ინდოურის ჭუქია.

მსხვილ და მძიმე კუერცხზე იტყვიან: ბეზუნააო, ლაყეში — ნამოკვარიაო.

ზოგიერთ ფრინველს ურუნი — შავი და თეთრი — ფერი აქვს. ერთ-ერთ თეთრკისრიან ჩიტს მანჭია ჰქვია. კისერს ხშირად ამოძრავებს. ბევრი ბარტყი ჰყავს.

დიდ მთაში ბინადრობს მაღირღოლია — ქორის მსგავსი ფრინველი. ჭრელია, მაღალფეხებიანი. მტაცებელი არაა. ღაკივის „მოვალო“.

ტყლიკიორა ნაცრისფერი ჩიტია, მდინარის ან ღელის პირის ცხოვრობს.

ნამცხვარი და საჭამალი

პურს ამგვარად აცხობენ:

ფეხილს მერდიმში — წმინდა საცერმი — გაატარებენ, გობზე მოათვავებენ, შიგ საფუარს ჩაურთავენ, თბილ წყალს დასხამენ, მოზელენ და გააღვივებენ. ანაქოტს — ანაცერს პირუტყვს აქმევენ.

საფენალი მშრალი ფეხილია. მას გობში მოაფენენ, რომ ცომი დაგუნდავების დროს მცხობელს ხელებზე არ მიეკრას.

ცომს გობზე გუნდებად მოამწერივებენ, გააბრტყელებენ და თორნეში ჩააცხობენ.

პურში ურთავენ ყველს, ნიგოზს, ლობიოს, მხალსა და სიმინდს.

თორნეში აცხობენ ლავაშს. კოტეტიანი პური მრგვალთავიანი სქელი ლავაშია, საძლენო; ხმიადი გაფლვივებელი ცომის ნამცხვარია; ხმელაპური ანუ გომიჯი კი გაღვივებული ცომისაგან მიიღება; ნაზუქი ქადაა; ერბოკერცხიანი ნამცხვარი; გორგოლი პატარა, მრგვალი და გულგამოჭრილი პურია (Byb-თა), ბავშვს უყვარს; განატეხი იყო ჯვარგამოსახული ნამცხვარი (ყველიანი ან ნივეზიანი) და ლოცვის დღისათვის ამზადებდნენ.

მეთორნები წინათ იყენებდნენ ორომს. ამ ხელსაწყოთი სწრაფად ბევრ პურს აცხობდნენ. ეს სიტყვა „...დღესაც ცოცხალია ზემო იმერეთში, სახელდობრ, ხუნევისა და ლორეშის მიღამოების“. ორომი ეწოდება ჩრკვალად გამოხერხილ ან გამოთლილ ბრტყელ ფიცარს, რომელსაც ცალი სიბრტყის მხრივ შეა ადგილს ხელის ჩასაჭიდი ტარი აქვს მიმაგრებული. ხაბაზებს ოროში ხელში ამ ტა-



რით უჭირავთ და ზედ შოთავესტულ ცოში თონეში გადმოტრიალებით ჩაკრავენ ხოლმე¹.

შემდგომ ოროში ტილოს ბალიშიანშა ჩიგანშა შეცვალა.

კეცი უმთავრესად მჭადისათვის ესაჭიროებათ. მასში გამომცხვარს ნაკეცური ჰქვია.

პურს აცხობენ ღლესასწაულის, ქორწილისა და ტირილის დროს. ყოველდღიურად მჭადს ან სიმინდიან პურს აცხობენ. სიმინდს აჭმევენ შინაურ პირუტყვებსა და ფრინველებს. დალერლილ სიმინდს ან ქერს როში ჰქვია.

ლობიოს ამოლესავენ — ქოთანში ლაფერთხით — ტოტებიანი ფიტვის ჯოხით — გაქნიან ან პირშილი და აკეთებენ — გაუქნელად კაზმავენ. ასევე ამზადებდნენ ცერცეს, მუხუდოსა და ისპს.

ლახანა თავშეუხვეველი კომბოსტოა, ჭილო—ხახვის ბოლქვი.

კრეფენ გარეულ მხალს. საჭმელად კარგია ტყის მხალეულები: ზერჩი (არჯაკელი), თიორში (მთის შროშანი), კვლიავი (ტყიურა), მწვადინელი (ცისთვალი), ქალაკოდა (ნიუკა), ქალშავა (თეთრყვევილი ლაშქარი, მხალშავა); მინდვრის მხალეულები: დუხტი (ტუხტი), თიკნისყურა, მგლისსხორხა (თეთრი ნარი), ქისუნარა (შავჩოხა), შლუყურა შვლისყურა; სათიბის მხალეულები: ლვალო (ლოლო), ფშალი (სვია) და სხვა მხალეულები: ბზინდარა (საათა), ქათანაცერა (ნაცარქათამი), ჯიჯილაყა.

თიორშს, ლვალოსა და მწვადინელის დაწნავენ, გაახმობენ და ზამთრისათვის საჭმელად შეინახავენ.

კვლიავი ტყის მაღალი ბალახია. მის თესლს ნაყავენ, ლვინის-თბილსა და მაყვლიან საჭმელს კაზმავენ.

ლვინისთბილს აღუღებული ლვინით, დანაყული ნიგვზითა და კვლიავის თესლით ამზადებენ.

აკეთებენ ქაშს, ნაღულსა და ფაფას. დაუშუშებელ ლომზე, ფაფასა და ფელამუშჩე იტყვიან: მოლოე არისო.

ხ ე ნ ი ლ ი

ხილი ყველა სოფელში უხვად მოდის. იგი გამძლეა, მგზავრობას იტანს და კარგი გემო აქვს.

აღვილობრივ ძველ ჯიშებს ეკუთვნის გაშლები: აბილოური

¹ დ. შენგელაია, გამ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, № 21.



საშემოდგომოა, მოწითალო ფერისა; დანავაშლი საზამთროა, მოგრძო, თეთრი; თურაშაული; კიტრავაშლი საშემოდგომოა, მოგრძო, თეთრი; ტყაპავაშლი საშემოდგომოა, ბრტყელი, ჭირელი; ღომავაშლი საშემოდგომოა, წვრილი, თეთრი; ყინულისვაშლი საზამთროა, მრგვალი, წითელი, ყრუაშვილისვაშლი საზამთრო იყო, მსხვილი, თეთრი, გადაშენდა.

მსხლები: გამპარვია ჭკუტა საზაფხულოა, წვრილი; კაცითავა საშემოდგომოა, მსხვილი; კვირისტავა საზაფხულოა, თეთრი; საკალო ჭკუტა საზაფხულო მსხვილი პანტაა; სასელო საზაფხულოა, საშუალო ზომისა; ურიამსხალა საზამთროა, წვრილი, შავი; შავმსხალა საზამთროა, მოშავო ფერისა; წითელგვერდა საშემოდგომო მსხვილი პანტაა; ჭალოულა საზაფხულოა, თეთრი; ხეჭეჭური საზამთროა, შავი, ჭურში ინახავენ.

ქლიავები: შავი ქლიავი, ღოღნაშო (წვრილი); თეთრია აგრეშულა აღრე შემოდის, გვირილა, კატაყვერა, ჭანჭური, ორტოლო მოწითალოა, გრძელი და მეავე, წყალქლიავა ნახევარი გვერდი წითელი აქვს.

მწიფე ბალზე ამბობენ: მიყვანჭალებულიაო, მწიფე მსხალზე — ყვინწკლივითააო. უგალავი დაუმწიფებელ ხილს აღნიშნავს. ხე როცა ბევრს მოისხამს, იტყვიან: ნაყოფი ერთმანეთზე მიყურულიაო, თუ ხილს ჩამოყრიან — ჩამოუხოლავთო.

ხილის ნაყოფის გულს, რომელსაც ადამიანი არ კამს, ნაღუჭი ეწოდება.

გასხეპილ სწორ ხეს სორსალი ჰქვია. ბუნებრივს — ლატანი. ყვინჯი დიდი კორძია.

ბორჯოყო ადგილია ხის შესავალში დედა ტოტთა შორის. მის ზევით ბოჯლოტებია. ბოჯლოტთან წვრილი ტოტები იყოფა.

ზოგიერთ ხეს უცნობი სახელი აქვს. ასეთია: არჭკლი ანუ ძუმელა შინდის მსგავსია, მწვანე (შინდანწლა). მას იყენებენ წნელად, აგრეთვე ჩიბუზის ტარადაც; ბაგუნდი || ჩიკუნი || ბურტყილა — მდგნალი ანუ კატატირიფა (საბა) — თეთრი ტირიფია, რომელიც ისხამს ბუმბულს (ბურტები) გაფოთლებამდის; ბაძგარი — ეკლიანი კურნალი (საბა) — ეკლიანფოთლებიანია და შეერს ჰევას; თხიფსელა წითელგულიანია (ხეჭრელი); კაკათხილა მსხვილი



თხილია; ლობიოეკალა აქაციის ხეა; ლორის ტყუჩალა წითელი კუნელია; შკორე არის მელიქაური — დაბალი მცენარე მაღალ საძოვარზე (ძუღური, თარიკონი), სიცივეშია, ხშირი სეტყვის გამო არ იზრდება; ჭეჭეკეტა კაპარის მსგავსია, თეთრზოლებიანი, ხმარობენ წნელად, აგრეთვე ჩიბუხის ტარადაც. შკობა არის რთხმელის ბუქენარი.

შაშვი პურა ეკალას ნაყოფია, კვრიხი ლი — თხილის ყვავილი, ბურგვი — წიბლის ეკლიანი საფარი.

ხვამლის, ლეხერის, ზოვიშისა და ქულბაქის მთებში დიდი ხნის ტყეებია. აქ სახლის მასალას ამზადებენ

ქ ხ თ ვ ა

ჭინათ შემოსილი იყვნენ ზინაური ნაწარმით. კანაფს რთავდნენ და ტილოს ამზადებდნენ, ცხერის ჩატყლით შალს ქსოვდნენ. პირ-უტყვის ტყავისაგან ქალამანსა და ბანდულს იკერავდნენ. ბან-დულს ზამთარში იცვამდნენ. ფეხი კოჭამდის ჩადიოდა. ბალნიანი ძირი ჰქონდა. ბანდულში ჩაუტნევდნენ ჭმინდა ბალას — ჭერა-ქოს (თობი), მელეზერს (ბერსელა, წბილა) ან გეჩეჩურს; ბზინდისაგან (ბლის კანია) ჩანოებს წნავდნენ.

შატყლს გაჩეჩუვდნენ და ჩერიათი — კეირისთავიან თითისტრით — შერთავდნენ.

სტვის — რთვის — დროს ხდებოდა გადაჩაკვა: თითისტრის წვერზე ძაფს ისე შემოახვევდნენ და გადანასკვავდნენ, რომ ნართავი არ დარღვეულიყო. რთვას განაგრძობდნენ, გადაჩაკვილ ადგილს გახსნიდნენ, ძაფს თითისტრის ტანზე დაახვევდნენ და ისევ წვერთან გადაჩაკვავდნენ.

ძაფს მურგვად დაახვევდნენ, ტარ-კვირისთავზე დაბავდნენ — ორმაგ ძაფს ერთად შეაგრეხდნენ. შემდეგ მის მურგვს გააკეთებდნენ.

სამუხრელზე — ბოძალ შინდის ხეზე — დახვეულ შესაღებ ძაფს შულოს უწოდებდნენ.

ძაფს წერით ღებავდნენ. მას კაელის ხის ცილისაგან ან ძირისაგან გამოხდიდნენ.

ჭინდას, ხელთამიანს, ზარფსა და კაბას (წელს ქვევით) ჭინდის-ჩხირებითა და ყასნაყით ქსოვდნენ.

ქსელს საქსოვის ჩირჩოში გააბავდნენ. საქსოვი დაზგა ოთხი

სეკტისაგან შედგებოდა. ცანდი მოსაქსოვის სიგრძეს ნიშნავდა, ლანდი — ძაფების სიმრავლეს განში. ცანდს ჰქეცავდნენ.

დგიმს ორი ნაწილი ჰქონდა, თითოეული ნაწილი (ორჯოხა-ანი) სიმაღლეზე ადი-ჩამოდიოდა. სავარცხელი ცანდში მოძრაობდა და ძაფს ბრეცვდა. ლაფათინი სავარცხლის ჩარჩო (ხისა) იყო.

პირლია დგიმზი მაქვა მასრით გაძქონდ-გამოჰქონდათ. მაქვა ლრუ ხეა, თავ-ბოლო წაწვრილებული. მასში მასრა მავთულზე ბრუნავდა. მასრაზე დახვეული ძაფი ირლევოდა.

საკინწალაზე — ბაწარზე — დგიმ-სავარცხელი ეკიდა. დგიმს ჰქონდა ორი ყვანთალა — მოქლე მოძრავი ჯოხი.

ნაქსოვი ეხვევოდა რვილაზე, რომელიც დაზგის სეკტებზე იყო მიმაგრებული.

ქსოვილს მოთელავდნენ, გარეცხავდნენ, გააშრობდნენ და შეღებავდნენ.

შალისაგან ჩოხას, შარვალს, პაიშა და ყაბალას იქრავდნენ.

შალისა და აბრეშუმისაგან მზადდებოდა ლეკურთხი || ლეკ-კერთხი — პაიშის ან ჩულქის წყივზე დასამაგრებელი ზონარი (შიდვისკა). პაკანიკი იყო პაიშის ან აზიური მუქისარის — შარვლის ტოტის — ბოლოზე ორივე თავით დაკერებული ზონარი, უეხის გულზე ამოსაკრავი, პაიშისა და შარვლის დასაყენებელი.

ლაინი ხამს ერქვა. მას ლურჯად ლებავდნენ, საახალუხე ქსოვილი იყო.

მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ ბ ა

მექურქლეობა განვითარებული იყო საირმეში. ამ სოფლის ადგილებში — უთილაშში, კახურაშსა და არმოდიაში საუკეთესო ხარისხის თიხა (აყალი მიწა) მოიპოვება.

საირმეში მზადდებოდა ყოველგარი ჭურქელი — ქვევრი დიდი (ჭური) და პატარა (ყვიბარი), ღორა, კოკა, ღოქი, თორნე და ხალაში. მათ შესაძენად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სეანეთის სოფლებიდან მოღიოდნენ.

ორი გლეხი შეამხანავდებოდა. მუშაობას აწარმოებდნენ გაისიდან ოქტომბრამდე. ორივეს ჰქონდა ქარისაგან დაცული სადგომი. უმეტესად პალატში იყვნენ.

მოიმარავებდნენ მიწასა და სილას. მიწას შემოლობილ ადგილზე წყლით ნედლად ინახავდნენ. მიწასა და სილას მოზელდნენ, ანა-ჭრებად დააწყობდნენ. თავზე ანწლს გადააფარებდნენ.



პირველად ჭურების კეთებას შეუდგებოდნენ. მუჯუროს — ჭურის ფსკერს — მურგვზე ამთავრებდნენ.

მურგვი ხის მბრუნავი ხელსაწყო იყო — მრგვალი ფიცარი, რომელიც კონუსისებურ ფეხზე იდგა.

მუჯუროს შემდეგ თავლია სკამში მოათავსებდნენ, რამდენიმე გურგუსალს — მოზელილ გუნდას — შემოავლებდნენ.

უკანასკნელად კიდევ ცალკე გადადგამდნენ, ქვებსა და ბინი-კებს // ბიგებს — ჯოხებს — შეუყინებდნენ. კადელი რომ არ დაზიანებულიყო, ბინიკებ ხის ქერქს დაუტნევდნენ. შენებას გაიგრძელებდნენ.

როცა მუშაობას შეწყვეტდნენ, ნაპირებზე, რომ არ შემხმარიყო, ვაზის, კვახის ან ღელალუნტას (ფართოფოთლიანი ბალახია) ფოთლებს დააფარებდნენ.

ერთსა და იმავე დროს ამზადებდნენ ოთხ ჭურს (თითოეული 40-60 ფუთს იტევდა), შუაში ჩასადგამს (8 ფ.) და თორმეტ ყვიბარს (4-6 ფ.).

შემდეგ აკეთებდნენ მენახევრიან დორის, კოკასა და ხალამს. ამ ჭურჭლებს კი მურგვზე ამთავრებდნენ.

ოსტატის ხელსაწყოებს შეადგენდა: დანაჩირი, სავარცხელი, სატევცი და საჭოჭიალო.

დანაჩირი დანისებური ყავრის სქელპირიანი ნაჭერი იყო. ცალი ხელით მურგვს ატრიალებდნენ, მეორე ხელში დანაჩირი მშირიათ და კედელს თლიდნენ.

სავარცხელადაც ყავრის ნაჭერი ჰქონდათ. მით კედელს შიგ და გარეთ წმენდდნენ, ალამაზებდნენ.

ხატკეცი ჩოგანს ჰგავდა. მით ქვევრის თავის მოსწორება ხდებოდა.

საჭოჭიალოთი დორის, დოქისა და ხალმის ყელს აჩუქურ-თმებდნენ.

სველი ტილოს მჩვრით თავსა და ყელს ასუფთავებდნენ.

იმავე სამუშაოს მეორე ოჯახში განაახლებდნენ. ამასობაში პირველი წყება ჭურჭლეული გახმებოდა და ქურაში გადაიტანდნენ. ქვევრებს ქვეშ დადგამდნენ, დანაჩირებს მალლა მოათავსებდნენ.

ჭურის წინა პირს ამოუშენებდნენ, ქვეშ ცეცხლის შესანოებად ხუთ კარს დაუტოვებდნენ.

უკანა კედელს ჰქონდა ჭუკები — ორი სარკმელი, რომლებსაც დატალაზიანებული ფუჩეჩით ან კოროლით ამოავსებდნენ.

ფოტოზოს — ზეზე დამპალ ხეს — ცეცხლს შეუნთებდნენ მართვა სუთივე კარში რვა დღეს ხრჩოლავდა. ბოლოს ჯირკებს შეყრილნენ, ქურაში ცეცხლს ერთი ღამის განმავლობაში გააჩაღებდნენ. ექვსი მარხილი (ნახევარი საექნი) შეშა დაიწვოდა.

ცეცხლი კუკებში რომ გავიდოდა, ქურა გამომწვარად მიაჩნდათ.

ქურა განელდებოდა. სამი დღის შემდეგ ცივი იყო. წინა პირს დაარღვევდნენ და ქურჭლეულს გამოიტანდნენ.

მეორე წეებასაც ამგვარად გამომწვავდნენ.

ორი გლეხი ერთ წელიწადში ხუთ-ექვს ქურა ქურჭლეულს დაამზადებდა.

კ ა ლ ა ტ ი ზ ა ბ ა

საირმე განთქმულია კალატოზობითაც. აქ ახლაც ბევრი ოხტატი ცხოვრობს. საირმელები ქვითკირის შენობებს სხვა სოფლებშიც დგამენ.

ყველგან მოიპოვება ქასალი ქვა — ძირითადი მაგარი საშენი მასალა. მას ტეხენ, არ ითლება. წინათ სახლებს სპონდიოს ქვითაც აგებდნენ. წიწილებიანი ქვა დიდია, კუნძოვანი და მკვრივი.

წისქვილის ქვები და ბუხრის ფეხები — ჰიდლები — ეონგ-თიდან (იმერეთი) შეაქვთ.

ზოგი ქვის სვეტი წვდენებისაგან შედგება. წვდენი ერთიანი ქვაა, შუბლიან ორ ქვაზეა დადგმული. შუბლიანი ქვა სეეტის მეორე გვერდზე წვდენია. შუბლიანი ქვები წვდენებშია ჩაკეტილი.

საირმის უდაბნოში ჭრიან ბაღდალის ქვას. ეს ქვა საუკეთესოა, თეთრი და თავისუფლად ითლება.

ბაღდალის ქვით აშენებენ ოდის ქვედა სართულის ორ კუდეს, გვიმს, კედელსა და ნობს წყაროზე. ნობი კოდია. ბინული აესებს და გადმოდის. დიდ წყაროსთან ნობს პირუტყვთათვის აკეთებენ. ბაღდალის ქვით ამზადებენ აგრეთვე ბუხრის თავს, საცენველს და ჭიშკრის, ფარდულის ან სასიმინდის სვეტებს.

კალატოზს ესაჭიროება შემდეგი ხელსაწყოები: დიშლი — ბრტყელპირიანი ჩაქუჩი. მას ორივე მხრივ რეზის კბილები აქვს; ტარალიც ბრტყელპირიანია, მაგრამ უქმილო ქვა ითლება დიშლით, შემდეგ — ტარალით; შიმშა — კუთხედი სწორი ჯონი, საჭაზავი; თარაზო — სასწორი, კედლის სამართი (Ватерпас); ქა-



ფრთხი — ჩვინის მცირე ნიჩაბი, უმენტისა და კორის ასაღები; რეზინული გონიო — სწორკუთხედი; გონიობურს ბლაგვი კუთხე გამოჰყავს.

დურგლის იარაღები

ამ პროფესიის ლექსიკისათვის (ფიცრულისა და ავეჯეულობის ნაწილთა სახელშოდებანი) იხილეთ წერილები: კარ-მიდამო, კათხა სახლი, ტვირთსაზიდი საშუალებანი, გვიმის წისქვილი, ლეინის დაყენები.

ბაზო კარის ან ფანჯრის დარაბის გულის ჩატჩო (სიმაღლეზე), განის ყაიდი — ფიცარი, რომელიც ორ ბაზოს აერთებს; ბაზოსა და განის ყაიდის ამოლარულ ნაწილს (ნაპირში) შიპი ეწოდება. შიპი აფრისაც იქვე.

ქანის შეკაფი შიპის ამოსაღებია, პირთხელი — შიპის გასატენდი.

შალაშინი სხევადისხვა სახისაა: ხუშტარა გრძელია და წვრილი, ფიცრის ნაპირს ორ სანტიმეტრზე ჩამოვრის, ფიცარს შემდეგ დიდი შალაშინი მოასწორებს; შპუნთი კორძებს წმენდს, ცირკლი — ფიცარს საბოლოოდ; სეთილი სამკბილაა, კარისა და ფანჯრის ფიცურებისათვისაა საჭირო; ფიგარას კარის ან ფანჯრის დარაბის გულის ნაპირი გამოჰყავს; გარტიელი ლრმა კვალს აჩენს.

გახრილ ფიცარს შიმშაოთი და შეკაფულით (ზუბარა — ტყვია თოვეითურთ) დაკარაულებენ — გაასწორებენ. ზუბარაოთი ქვის დაყარაულების კალატოზებიც აწარმოებენ.

ბარამბა კარის დასაკეტია — ლურსმნით შიჭედილი სარაზავი. სისოფადოდ კი სამკუთხედს ნიშნებს. იტყვიან: კოჭის თავი ბარამბულად ჩაგეერე საძირკველშით.

ბათქაში („რესმისი“) არის მზომავი (ხისაა), ბურაო — ბურლი.

ბირკვილისა და თალღამას ფიცარს ხვრეტენ წვრილი და გრძელი ხერხით, რომელსაც იქვე სხვიდისხვა სახელი: შაბაქი, მელა-კუდა და ძინწოდებილა.

სისონერხი პატარა, თხელი ხერხია, ერთ კაცს უჭიროებს ხელში, მისი პირი თოვით არის გამიმული (მაღლა).

კბილსაკარი ჩვინის ხელსაწყოა, რითაც ხერხის კმილების ჯამშირ ვა ხდება.

ჩულუხი ჩვინის დიდი სატეხია, მით ურმისა და მართლის ნაჭილებს ხერეტენ; თევზი პატარა სატეხია.

ლირსშესანიშნავი ადგილები

ორისონი
მისამართი

ბევრ სოფელში არის ციხე ან ნაციხარი. შემოსეულ მტრებს აქედან ებრძოდნენ. მურის, ორბელის, ღეხვირისა და გვესოს ციხეები მთავარ სიმაგრეებად ითვლებოდა.

ციხეები ახლოც დგას მურში, ორბელში, გვესოსა და დერჩში.

ციხის ნაშთები ან ნაციხარი ადგილებია დეხვირში, ზუბში, უცხერში, უსახელოში, ნასპერში, ჰყვიშში, გენდუშში, ზოგიშში, მექვნაში, თაბორში, ლაილაშსა და ლეშვაშში.

მიუყალი ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულები არის ხვამლის, ორხვის, სარეწევლისა და ორპირის კლდეებში.

ზოგიერთი ადგილი, სადაც ხატობას იხდიდნენ, ეკლესითა და მრივალწლოვანი ცაცხის, მუხისა და ნაძვის ხეებით იხლაც დაცულია.

მაღლობებზე, შორეულ თვალსაწიერში (სივრცეა, რისაც თვალი მისწვდება) და ნათლად მოჩანს ლაბეჭინის, შხვდალის, გულულაშის, მცხეთის, ნაჯურალეშის, ლარჩევალისა და ჩქუმის სალოუგები.

მონასტრები იყო ხვამლზე, საირმის უდაბნოსა და ნამარნევში.

მინერალური წყლები მოიპოვება ახალჭალაში, ლაშივალაში, ძუღურში, ზედა სურმუშში (დასალევი), ქვედა და ზედა სურმუშში, ზუბში, აღესა და ალპანაში (გოგირდოვანი),

სახელმწიფო მარნები არის ჭრებალოში, ორბელში, ტვიშსა და ყუყრეშში კარამიტის ქარხნებია გუგულეჩისა და ჭრებალოში

აგებულია მექვენპესი და ქორენიშპესი. ელსადგურები შენდება აფრეთვე ორბელში (მდ. ლაჯანურზე) და ისუნდერში (მდ. რაჩაზე).

დ ღ თ ბ ა ნ ი

ძველად სხვადასხვა ხალხურ წეს-ჩერულებას იცავდნენ. იხლავთ აღარ ასრულებენ. ისინი მოხუცთა მოგონებების მიხედვით აღვწერეთ.

დღეობას დიახწველი ერქვა. ახალი წლის წინა დღე კა-ლინდობა იყო. ამ დღისათვის გლეხს დასაკლავი ლორი ჰყავდა.

გლეხი ლორს კალანდობას, დილით, დაკლავდა. კაკვზე ჩამოჰყედებდა, ბარკალა და უწუმარს სალამოს მოხარშვდა. მოჭრილ თავს ნათლისლებისათვის შეინახავდა.

კალანდა დღეს ჩიჩილაკებს დაამზადებდნენ. ჩიჩილაკი თხილს ხისაგან კეთდებოდა. ხეზე, ცალი თავით, მისივე ქანის ნათ-

ლები ეკიდა. გახლეჩილ თავში ბაძგარის შტოსა და კუნელაში მისამართ ვანს დაამაგრებდნენ. სალამოს ჩიჩილაკს ყველა შენობის წინ და კურისთავზე დაასობდნენ.

ოჯახის უფროსი სამკლოვიაროს დაამზადებდა და ბეღელში შეინახავდა. ახალი წლის განთიადზე ადგებოდა და სახლში მიიტანდა.

ცალ ხელში ეჭირა ვაზის გვერგვი — სალტე, რომელშიც ჩიჩილაკები ჯვარედინად იყო გაყრილი. გვერგვზე ედო ნამცხვარი (ლობიანი ან ცერცვიანი), საკალანდო ღორის მოხარშული გულ-ლვიძლი, ხილი, თაფლი და ტყვია. მეორე ხელით ლვინით სავსე ღოქი მიჰქონდა.

სამჯერ რომ დაიძახებდა, კარს გაუღებდნენ. ყველა წევრს მიუკლევდა თაფლს და დალოცავდა: ასე დატება თქვენი სიცოცხლე. ეს ტყვია მოხვდა თქვენს მტერსა და ორგულსო.

ეს ოჯახის მკლოვიარე იყო. მერე მეზობლისაგან მეკვლევი მივიღოდა ტაბლა-კურითა და ღოქი ლვინით. ის კარებში შესვლის-თანავე წარმოსთქვამდა: შემოვდგი ფეხი, გრძალობდეთ ღმერთი, ნათვლა-ქორწილში, სიმრთელ-სიმხიარულებში, შემდეგ პეშვ ღომს სოხანებზე მოყრიდა და იტყოდა: ამდენი გოჭი და ქათაში გაჩნდეს და გაიზარდოს ამ ოჯახშით. მეკვლევს საჩქარს გაატანდნენ.

ახალი წლის მეორე დღეს ფეხის დაბწნას ეძახდნენ. მიიპატიუებდნენ ძმობილს, ღობილს, ნათლიას. სადილს გამართავდნენ.

სტუმრებს ერთი მასპინძელთაგანი ლვინით ხელს დააბანინებდა. თან მარილს წაამცვრევდა და ეტყოდა: ბევრი ახალი წელიწადი მოგსწრებოდეთო!

სალამოს შინ გასწევდნენ. მასპინძელი მეორე დღეს მათთან უნდა მისულიყო. ამგვარი მისვლა-მოსვლა და სტუმარმასპინძლობა ხშირად სამ-ოთხ დღეს გასტანდა.

რ იანვარს, ნათლისლებას, ღილით, საკალანდო ღორის თავს მოხარშავდნენ.

ოჯახის უფროსს პური და ღორის თავი მარანში მიპქონდა. საესე ქვეერს მოხდიდა, გომიჯს თავზე შემოავლებდა და ილოცავდა: ღმერთო, შენ მიეცი ბარაქა ჩვენს ბეღელს, ნუ ამოგვილევ კურში ლვინოსო!.. ხორცს მოთლიდა და ლვინოს შესვამდა.

ნასაღილევს სამკლოვიარო გვერგვს სახლის თავზე შეაგდებდნენ.

აღებანის ხეთშაბათს, მარია შენობას, განატეხს გამოაცხობდნენ, ნაკრტენით დასერეტდნენ, სამტკიცზე ან კაქაბა ცხრილზე დადებდნენ და წალმა დააბრუნებდნენ, ქათმებს ულოცავდნენ.

ოთხშაბათი და პარასკევი მარხვად ითვლებოდა. ოთხშაბათი პარასკევს მგზევსი ეწოდებოდა, თუ ამ დღეს რომელიმე დღესასწაული იყო.

მგზევსი გახსნილებულ ოთხშაბათს ან პარასკევს ნიშნავდა. აღნანის ოთხშაბათი და პარასკევიც მგზევსებად მიაჩნდათ.

თეთრი ორშაბათი ყველიერის პირველ დღეს ერქვა.

დიდმარხვის პირველ დღეს, ზავ ორშაბათს, რკინობა იცოდნენ. კვირას, საღამოს, ხეებს დარკინავდნენ — ტანზე რკინის იარაღს შემოუკაკუნებდნენ. შემდეგ ყველა იარაღს დამალავდნენ და შეორე საღამომდის ხელს არ ახლებდნენ.

ზავ ორშაბათს, საღამოს, ილოცავდნენ. უივეინასა და ვაჟინას შესანდობარს დალევდნენ (ამ დღეს ორი ძმა სანადიროდ წავიდა, მხეცს შეებნენ და დაიღუნენ) და რკინის გახსნიდნენ: მისი ხშარება იმ ღამესვე შეიძლებოდა.

დიდმარხვაში, პირველი კვირის შაბათს, თესლის გალების დღე იყო. თეთრობაზა ერქვა. მარცვლეულის თესლს პეშვით (კვანჩებით) აიღებდნენ, მიწაში ჩათესავდნენ და დალოცავდნენ. თედორობა ცხენის ლოცვის დღეც იყო.

ხოფელ ლუხვანოში, თებერვლის თვეში, ერთ დღეს ცხრა მიცვალებული დაუკრძალავთ. მათს ხსოვნას გულისხმობდა დღეობა საკაცურობა, რომელსაც ყველწლიურად აღნიშნავდნენ.

აღდგომის მეორე დღე გორგოთობა იყო. მაისში კვირობას იხდილნენ.

დეხვირის საზოგადოებას (დეხვირი, მცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, ჩეალბეჩი, ლესინდი, ლეშველა და წილამიერი) აღდგომის შემდეგ მესამე ორშაბათი უქმ დღედ ჰქონდა ვამოცხადებული.

ამ დღესასწაულს ხატარე შობა ეწოდებოდა.

ხატარეშობას დეხვირის ციხიდან ბუქს დაუკრავდნენ. სადეხვირო გაიგონებდა. ყველა მცხეთისაკენ გაემართებოდა.

ეკლესიიდან ხატს ერთ კილომეტრზე გალობით გაპყვებოდნენ.

ხატს დაასვენებლნენ ებელარში, ცაცხის ხისქვეშ. იქ იდვა დიდი კუთხედი ლოდი. მის ქვეშ შენახული იყო პატარა და ბურთივით მრგვალი ქვა.

ამ მრგვალ ქვას მონახავდნენ. ვინმე მკლავმაგარი ახალგაზრდა ვაუკაცი ქვას აიღებდა, აღმოსაელეთისაკენ გაიქცეოდა და ღელმაგალმა გაისროდა.

გამოყოფილი პეავტათ კაცი. ის უყურებდა, ქვა სად დაუცილებელი და რომელ მხარეს შეტრიალდებოდა.

ქვა თუ წალმა შემობრუნდებოდა მიწაზე დაცემის დროს, იტ-ყოდნენ: წრეულს კარგი წელიწადი იქნებათ. ბოლოს დეხვირის ციხისაკენ გასწევდნენ, ლხინს გამართავდნენ.

ხატარეშობა დღეს ქვემო სვანეთში უსტატაბლიერობა იყო. ამ დღეობაზე ცაგერის მახლობელი სოფლების ჩეხოვრებნიც დადიოდნენ.

მაისის თვეში ნაჯურალეში ისკელიტობას იხდიდნენ. ისკელიტა ადგილია, სადაც ხელუხლებელი დიდი წიფლის ხე დგას.

ისკელიტობა საქონლის ლოცვა იყო.

ამ დღისათვის მახისა და ზანდურის განატეხებს გამოაცხობდნენ. შევიდოდნენ ბოსელსა და სალორესთან. პირუტყვს ულოცავდნენ და კვერს შექამდნენ.

ისაუზმებდნენ და ისკელიტასაკენ გასწევდნენ.

ხესთან ლიტინის შეასრულებდნენ: ღმერთო, გავვიმრავლე საქონელი, ასად აქციე ჩვენი ძროხა, ღორი, ცხეარი, მშვიდობით გვაძყოფო!.. შემდეგ ისადილებდნენ.

20 ივლისს ხვამლობა იცოდნენ. ხვამლის მთაზე ხატობა იშართებოდა. მოსაგლისათვის ლოცულობდნენ. ხვამლს ევერეგბოდნენ: გვალვისა და სეტყვისაგან დაგვიფარეთ. ვისაც ხვამლი სწყალობს, — ნათქვამია, — მისი ბელელი არ დაიცლებათ.

ხვამლობისათვის გლეხებს შეწირული ჰქონდათ ნიგვზის ხე — სახვამლო კაცი. პატრონი მას არ ჭრიდა, მის ნაყოფს არ ჰყიდდა და არც ოჯახში სარგებლობდა.

თუ ვინმე შექამდა, ირყოდნენ: ბავშვებს ხველას დააწყებინებსო. ამ დღეს, სახვამლო კაკლის ხის ძირში, ქალები სუფრას გაშლიდნენ, განატეხს — ნიგვზიან ხმიადს, ღვინოსა და შემწვარ ქათამს შიორიანდნენ,

დედა ილოცავდა: ლებანოს მაღლმა ქსენა და ხველა ააშორებს მოვახსო!

ივლისში წიფეთელიობას დღესასწაულობდნენ.

შემოდგომაზე, 24 სექტემბერს, ჩხეტელსა და მექვენაში ჩიტობას იხდიდნენ. მოსაგალს ულოცვდნენ, ჩიტებმა არ შექამონო.

როცა წლიურ მოსაგალს აიღებდნენ, დიდ განმამს გამართავდნენ.

ამ დროს, წიფის ჩათავების დღეს, მავიდას პურ-ღვინით ასესდნენ.

ოჯახის უფროსი აილებდა ცალ ხელში განატეხს, მეორეში ღვიძენით სავსე ჭიქას და შეევედრებოდა ღმერთს: უფალო, ეს შენანაწყვალები კირნახული ნათელა-ქორწილში მოვახმარე, დაგვიცავი კირ-ბოროტისაგან, გვიბოძე სიმრთელ-სიმხიარულეო!.. ღვინოს დალევდა, პურს ლუკმას მოსტეხდა და შეჭამდა. შემდეგ ყველანი ივა-ხშებდნენ.

ვანტილობას — შობის წინა ღამეს, ვახშმად ამზადებდნენ ნიგვზითა და ხახვით შეკაზმულ მოხარულ პურს.

შობის, ღილით, კლავდნენ ქათამს. შიგანს ამოილებდნენ, ყველსა და ბრინჯს ჩაურთავდნენ, მოხარშავდნენ და ისაუზმებდნენ. შობის საუზმეს ზაკიცი უწოდებოდა.

კორწინება

ქალს სასიძო დანიშნავდა: ბეჭდებს მიართმევ უა და კაბას შეუკრიავდა.

ქალს მზითევს ქორწილის დღეს მისცემდნენ. დატვირთავდნენ ორ-სამ უჩემს.

დედ-მამა და ძმები ქალს აძლევდნენ საგებ-სახურავს — ბუმბულებს, ლებებს, ბალიშებს, საბნებს, ნოხ-ფარდაგს; სკრებს, ზანრუქს; ჭურქლეულობას — ქვაბებს, ტაშტებსა და ჭიქა-საინებს. გაატანდნენ აგრეთვე ერთ უშობელს. შეადგენდნენ მშითევის სიას.

ძველად ქალს „ვეფხისტყაოსანსაც“ აზითებდნენ. სიაში ყველაზე პირველად იმას ჩაწერდნენ.

სიძე ცხენოსან მაყრებს მიიყვანდა. ლხინი გაჩალდებოდა. დაღამების ჟამს წავიდოუნენ. დეოთვალს თავისი მაყრებიც გაპყვებოდნენ.

სიძის ოჯახში დიდი სამზადისი იყო. როცა სახლს დაუახლოვდებოდნენ, ორი-სამი მახარობელი დაწინაურდებოდა და მისელას აცნობებდნენ.

ბავშვებს უინელილები ეჭირათ, პირისპირ ჩამწკრივებული იყვნენ, სტუმრებს შუასა და ეზოს უნათებდნენ.

დედა მეფე-დედოფალს შეეგებებოდა სახლის საძირკველთან, კარებში, შაქარყინულს პირში ჩაუდებდა და დალოცავდა.

ცეკვა-თამაშს გამართავდნენ. მერე სუფრას შემოუსხდებოდნენ. მეფე-დედოფალი ერთად იყო.

მათ იქ მყოფი ნათესავები და მეზობლები სათითაოდ ჩამრარ-თმევდნენ ხელს, მიულოცავდნენ და თავზე გადასაგდებს — ფულს, ნივთს ან რაიმე ქსოვილს აჩუქებდნენ.



ქალს მდადი იცავდა. იგი შის ქორწილის დამთავრებულებულის ხალდა, გვერდითაც უწვა. პატარძალი რასაც ინებებდა, უსრულებდა. „დედოფალი მეფესა, მდადი ჩექორწილესაო“, — მღერონ დნენ ვაჟის მაყრები.

ქორწილი ორი-სამი დღე გრძელდებოდა.

შშობიარობის შემდეგ ძლვენს მიიტანდნენ და ახალდაბადებულს ადლეგრძელებდნენ. ამ დღისათვის საგანგებოდ კოტეტიან ჰურებსა და გორგოლებს გამოაცხობდნენ. ბავშვს ძმობილი მონათლავდა.

შიცვალებულის დატირება

თუ ოჯახში რომელიმე წევრი გარდაიცვლებოდა, მეზობლები შაშინვე მივიღოდნენ და შეიცხადებდნენ. შემდეგ დასაფლავების დღეს დანიშნავდნენ.

ამ დღისათვის მაწვიერს გაგზავნიდნენ. მიიწვევდნენ მეზობლებს, აგრეთვე მოკეთებს სხვა სოფლებიდან.

მივიღოდნენ. გაიმართებოდა ტირილი.

მიიტანდნენ გადასაფენს — შენაწევარს: ლვინოს, ფქვილს ან ფულს.

შეადგენდნენ გადასაფენის მომტანთა სიას, რითაც ოჯახი სამაგიროს უხდიდა თავისიანთ ამგვარი შემთხვევის დროს.

შორებლები მოტირალით მივიღოდნენ. ყველას თავისი მოტირალისათვის ლვინო და სანოვაგვე მიჰქონდა.

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ჭირისუფლის ოჯახში დაბრუნდებოდნენ.

ივაბშებდნენ და შინ წავიდოდნენ.

შვიდი დღის შემდეგ, შაბათს ან მარხვის გასელისთანავე, ცხვარს დაკლავდნენ და აკურთხევანენ. მანამდის ჭირისუფალი ხორცის არ შექამდა. ამ დღეს ხელისგახსნა ერქვა. ის ჭირისუფლის გახნილების დღე იყო.

ერთი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათობით, ჭირისუფალი შიცვალებულს საკურთხს — პურ-ლვინოს — უმზადებდა.

წლისთავზე საბოლოო კურთხევას გადაიხდიდნენ. მეზობლებსა და მოყვრებს მიიპატიუებდნენ. ეს დღე სუფრისაღება იყო და გლოვის დამთავრებას ნიშნავდა.

დედა კი თავის შვილს ხშირად დასტიროდა და შავ ტანსაცმელსაც დიდხანს ატარებდა.

მასალა მოგვაწოდეს კოლმეურნეებმა ეფრემ ჩარქვიანმა (სურმუში), ექვთიმე ანგლედიანმა (ცაგერი), სერგი ალავიძემ, ეკა გორდეზიანმა (საირმე), სამსონ და ვიოულიანმა (გაგულები), გულჩინა ჯინჭარაძემ (ლაილაში), მართა ლეშვაშელმა (სპათაგორი), მინა ბურჯალიანმა (ორბელი), მარიამ გუგავამ (უსახელო), ნატო ჩხერიანმა (ალპანა); ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუხუმის დირექტორმა ვარლამ მაჩარაბლიძემ, ისტორიკოსმა სამსონ კოპალიანმა (ლუხვანო); აგრონომებმა მელქისედექ ასათიანმა (დერჩი) და ნოე ალავიძემ (საირმე); პედაგოგებმა სოფრატ ასათიანმა (ტეიში), გერონტი და ვახტანგ კოპალიანებმა (ლუხვანო, ზარაგულა), პეტრე გაბუკიანმა (დევირი), თამარ ჩაჩიანმა, მარიამ ფრუიძემ (ლაილაში), მაყვალა ყურაშვილმა (ალვი), შალვა ჭოხონელიძემ და პანტელეიმონ ბოჭორიშვილმა (საირმე) და ძაძუ ჩხერიანმა (ლაჯანა).

ისკვლიტობის შესახებ პროფ. მ. ჩიქოვანის ცნობას დავემყარეთ.
 ქვემოთ ლეჩხუმური (კლდედაღმართული) და ოკრიბული ლექსიკიდან საერთო
 მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვა ჩაწერა პოეტმა დ. თომა შვილ მა.
 ნაშრომს რედაქცია გაუკეთეს პროფ. გ. ჩიქოვანმ და პროფ. ს. ყაუჩჩი -
 შვილ მა, რომელთაც ულრმეს მადლობას მოვახსნებთ.

